პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 108 (20804) — სამშაბათი, 8 მაისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის ხალხთა ენების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფო უზრუნველყოფს სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის პირობებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სსრ კავშირის ხალხთა ენების გამოსაყენებლად, ზრუნავს მათი აღორძინების, შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. სსრ კავშირის მოქალაქენი მზრუნველად უნდა ეკიდებოდნენ ენას როგორც ხალხის სულიერ კუთვნილებას, ყოველნაირად ავითარებდნენ დედაენას, პატივს სცემდნენ სსრ კავშირის სხვა ხალხების ენებს.

ეს კანონი აწესებს სსრ კავშირში ენობრივი პოლიტიკის ზოგად პრინციპებს, სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარებისა და გამოყენების გარანტიებს, საბჭოთა ფედერაციის ფარგლებში ოფიციალური ურთიერთობის ენის სამართლებრივ რეჟიმს, მოქალაქეთა უფლებებს სსრ კავშირის ხალხთა ენების გამოყენებაში.

ეს კანონი არ არეგულირებს სსრ კავშირის ხალხთა ენების გამოყენებას პიროვნებათშორის არაოფიციალურ ურთიერთობაში.

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონმდებლობა სსრ კავშირში სსრ კავშირის ხალხთა ენების განვითარებისა და გამოყენების შესახებ

კანონმდებლობა სსრ კავშირში სსრ კავშირის ხალხთა ენების განვითარებისა და გამოყენების შესახებ შედგება ამ კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონებისა და კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან. სსრ კავშირის ხალხთა ენების განვითარებისა და გამოყენების შესახებ.

მუხლი 2. სსრ კავშირის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების კომპეტენცია სსრ კავშირის ხალხთა ენების განვითარებისა და გამოყენების კანონმდებლობის დარგში

სსრ კავშირის განმგებლობას სსრ კავშირის ხალხთა ენების განვითარებისა და გამოყენების კანონმდებლობის დარგში მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით განეკუთვნება:

სსრ კავშირის ხალხთა ენების განვითარებისა და გამოყენების კანონმდებლობის პრინციპების დადგენა და ზოგადი დებულებების განსაზღვრა;

სსრ კავშირის ტერიტორიაზე საერთო ენის სამართლებრივი სტატუსისა და გამოყენების სფეროების განსაზღვრა საერთო-საკავშირო ურთიერთობის მოთხოვნილებათა კვალობაზე.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკები სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ დამოუკიდებლად წყვეტენ საკითხებს თავიანთ ტერიტორიაზე ენების განვითარებისა და გამოყენების კანონმდებლობის დარგში ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 3. ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება

ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანები უფლებამოსილნი არიან დამოუკიდებლად წყვეტდნენ თათს ტერიტორიაზე მცხოვრებ სსრ კავშირის ხალხთა ენების განვითარებისა და გამოყენების საკითხებს სსრ კავშირში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

მუხლი 4. ენების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა

მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკას უფლება აქვს განსაზღვროს რესპუბლიკების ენების სამართლებრივი სტატუსი, მათ შორის, დაადგინოს ისინი სახელმწიფო ენებად.

მუხლი 5. სსრ კავშირის ხალხთა ენების გარანტიები

სსრ კავშირი, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები, ავტონომიური ოკრუგები, ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები ქმნიან მატერიალურ ბაზას და სხვა პირობებს თავიანთ ტერიტორიაზე სსრ კავშირის ხალხთა ენების ყოველმხრივი განვითარებისათვის, ასტიმულირებენ მათს შესწავლას. ამ მიზნით მიიღება სსრ კავშირის ხალხთა ენების განვითარების საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ენებზე სწავლებასა და მათს შესწავლას, პედაგოგიური კადრების მომზადებას, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის განვითარებას, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემას სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, ლექსიკონების, ენობარების, სასწავლო და სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის გამოშვებას და სხვა ღონისძიებებს ენების გასავითარებლად. ამისათვის გამოიყენება აგრეთვე ეროვნული კულტურული ცენტრები, ეროვნული საზოგადოებანი, სათვისტომოები, დედაენისა და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენების სწავლების, შესწავლისა და პროპაგანდის სკოლისგარეშე ფორმები.

სსრ კავშირის ხალხთა ენების განვითარების პროგრამების დაფინანსება ხორციელდება შესაბამისი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე. სსრ კავშირის მცირერიცხოვან ხალხთა ენების განვითარების პროგრამების დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე ცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე.

სსრ კავშირის ხალხთა ენების განვითარების პროგრამების რეალიზაციისათვის შეიძლება დამატებით იქნეს მოზიდული ნებაყოფლობის საფუძველზე ეროვნული კულტურული ცენტრების, ეროვნული საზოგადოებების, სათვისტომოების სახსრები და მოქალაქეთა პირადი სახსრები.

II. მოქალაქეთა უფლება გამოიყენონ სსრ კავშირის ხალხთა ენები

მუხლი 6. აღზრდა-განათლების ენის არჩევნის თავისუფლება

სსრ კავშირის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ აღზრდა-განათლების ენის თავისუფალი არჩევანი.

საბჭოთა სახელმწიფო უზრუნველყოფს გარკვეულ ადგილას კომპაქტურად მცხოვრებ ეროვნებათა ინტერესების გათვალისწინებით ისეთი სკოლამდელი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნას, სადაც აღზრდა-განათლება წარმოებს სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებში მოქალაქეთა დედაენაზე სწავლების კლასების, ჯგუფების, ნაკადებისა და სხვა ფორმების ორგანიზაციას.

მშობლებს ან მათს შემცვლელ პირთ უფლება აქვთ აურჩიონ ბავშვებს შესაბამისი ენის აღზრდა-განათლების სკოლამდელი დაწესებულება და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

მუხლი 7. სსრ კავშირის ხალხთა ენების შესწავლა

საბჭოთა სახელმწიფო სსრ კავშირის მოქალაქეებს უქმნის პირობებს შეისწავლონ თავიანთი დედაენა და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ენები.

სსრ კავშირის ოფიციალური ენის შესწავლა სავალდებულო სასწავლო საგნად იმ სასწავლებლებში, სადაც სწავლება სხვა ენაზე წარმოებს, გარანტირებულია სსრ კავშირის ტერიტორიაზე ეროვნებათშორისი ურთიერთობის მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად საკმარისი მოცულობით.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის ენის შესწავლას განსაზღვრავს შესაბამისი მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკა ამ კანონის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით მცხოვრები მოსწავლენი შეიძლება განთავისუფლებულ იქნენ რესპუბლიკის ენის შესწავლისაგან, ასეთი განთავისუფლების წესს განსაზღვრავს შესაბამისი მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკა.

მუხლი 8. მოქალაქეთა შრომის უფლებების გარანტირება ენის ცოდნის განურჩევლად

სსრ კავშირის მოქალაქეთა მიერ შრომის უფლების განხორციელებისას უფლებათა ყოველგვარი პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა ან პირდაპირ თუ არაპირდაპირ უპირატესობათა დაწესება სსრ კავშირის ხალხთა ენების ცოდნის კვალობაზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ამ ენების ცოდნა გათვალისწინებულია საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობით როგორც შესაბამის თანამდებობათა დაკავების საკვალიფიკაციო მოთხოვნა, — დაუშვებელია და იწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 9. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოქალაქეთა მმართვის ენა

სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს წინადადებებით, განცხადებებითა და საჩივრებით დედაენაზე ან სსრ კავშირის ხალხთა ნებისმიერ სხვა ენაზე, რომელიც მათ იციან.

სსრ კავშირის სახელმწიფო ორგანოებში გაგზავნილ მოქალაქეთა წინადადებებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე პასუხი, აგრეთვე იმ მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის, ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მოქალაქეთა წინადადებებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე პასუხი, რომელთა სახელმწიფო ორგანოებში გაგზავნა წინადადება, განცხადება ან საჩივარი, გაიცემა მიმართვის ენაზე. თუ არ არის შესაძლებლობა გაეცეს პასუხი მიმართვის ენაზე, პასუხი ეძლევა სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ფარგლებს გარეთ მოქალაქეთა წინადადებებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე პასუხის ენას განსაზღვრავს შესაბამისი მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკა.

მუხლი 10. სსრ კავშირის ხალხთა ენების გამოყენება სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქმეთა წარმოებაში

სამართალწარმოება ხორციელდება მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ენაზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე.

სამართალწარმოება სსრ კავშირის უზენაეს სასამართლოსა და სამხედრო ტრიბუნალებში ხორციელდება სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებიც არ ფლობენ ენას, რომელზეც სამართალწარმოება ხორციელდება, უზრუნველყოფილია საქმის მასალების სრული გაცნობის უფლება, სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობა თარჯიმნის მეშვეობით და მშობლიურ ენაზე სასამართლოში გამოსვლის უფლება.

სასამართლო დოკუმენტები ეძლევათ საქმის მონაწილე პირებს სამართალწარმოების ენაზე, აგრეთვე მათი მოთხოვნით — იმ ენაზე თარგმანით, რომელზეც ისინი მონაწილეობდნენ სასამართლოში მოქმედებაში, ან სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

სამართალწარმოების ენის შესახებ წესების დარღვევა არის სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, თუ არ ფლობს ენას, რომელზეც წარმოება მიმდინარეობს.

მუხლი 11. სანოტარო საქმის წარმოების ენა

სამართალწარმოების ენის განსაზღვრის წესები ვრცელდება სანოტარო საქმის წარმოების ენაზე სახელმწიფო სანოტარო კანტორებსა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში.

თუ იმ ენის არმცოდნე პირი, რომელზეც საქმის წარმოება ხორციელდება, სანოტარო მოქმედებისათვის მიმართავს, გასაფორმებელი დოკუმენტების ტექსტები უნდა შედგეს აგრეთვე სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

მუხლი 12. პიროვნების ან მის შესახებ ცნობების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტების ენა

პიროვნების ან მის შესახებ ცნობების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (პასპორტები, შრომის წიგნაკები, სამხედრო ბილეთები, ატესტატები, დიპლომები სასწავლებლების დამთავრების შესახებ, დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების მოწმობები) ფორმდება მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ენაზე, რომელთა ტერიტორიაზე გაიცემა ეს დოკუმენტები და სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

მუხლი 13. სსრ კავშირის ხალხთა ენების გამოყენება მომსახურების სფეროში

მომსახურების სფეროს (ვაჭრობის, სამედიცინო დახმარების, ადგილობრივი ტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობისა და სხვა სახეობათა მომსახურების) მუშაკები მოვალენი არიან შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ფარგლებში იყენებდნენ მოსამსახურებელი პირის მიერ არჩეულ ენას. თუ მომართვის ენის ცოდნა გათვალისწინებული არ არის შესაბამისი თანამდებობების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, გამოიყენება სსრ კავშირის ოფიციალური ენა.

მომსახურებაზე უარის თქმა ენის არცოდნის საბაბით დაუშვებელია და იწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

III. სსრ კავშირის ხალხთა ენების გამოყენება სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების საქმიანობაში

მუხლი 14. სსრ კავშირის სახელმწიფო ორგანოების მუშაობის ენა

სსრ კავშირის სახელმწიფო ორგანოებში მუშაობა წარმოებს სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის სხდომებზე, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიებზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს, რომლებიც არ ფლობენ სსრ კავშირის ოფიციალურ ენას, ეძლევათ უფლება გამოვიდნენ სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენაზე. მათი გამოსვლები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თარგმანით სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს, მისი პალატების განსახილველად შეტანილი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების პროექტები სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს მათი მოთხოვნით ეძლევათ შესაბამისი მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე თარგმნილი.

მუხლი 15. სსრ კავშირის კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების გამოქვეყნების ენა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს, მისი პალატების, სსრ კავშირის პრეზიდენტის მიერ მიღებული სსრ კავშირის კანონები და სხვა აქტები ქვეყნდება სსრ კავშირის ოფიციალურ ენასა და მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, დადგენილებანი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მოწვევის შესახებ ქვეყნდება სსრ კავშირის ოფიციალურ ენასა და მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე.

ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში ჩამოთვლილი სსრ კავშირის კანონებისა და სხვა აქტების სსრ კავშირის ოფიციალურ ენასა და მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე გამოქვეყნებულ ტექსტებს აქვთ ოფიციალური ხასიათი და ერთნაირი იურიდიული ძალა.

მუხლი 16. მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების გამოქვეყნების ენა

ენებს, რომლებზეც ქვეყნდება ოფიციალურ გამოცემებში მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების აქტები, განსაზღვრავს თვით რესპუბლიკა მასში მცხოვრები ხალხების ინტერესების სავალდებულო გათვალისწინებით. ასეთი აქტები ქვეყნდება რესპუბლიკების ოფიციალურ გამოცემებში, აგრეთვე სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზეც.

მუხლი 17. წინასაარჩევნო კრებებისა და სსრ კავშირის პრეზიდენტის, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ დოკუმენტაციის ენა

სსრ კავშირის პრეზიდენტის, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს გამოიყენება მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ენა, მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენა და სსრ კავშირის ოფიციალური ენა.

დოკუმენტაცია არჩევნების შესახებ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინება სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

მუხლი 18. საქმის წარმოება, დოკუმენტაცია, ინფორმაცია

მოკავშირე რესპუბლიკების საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოებში, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საქმის წარმოება და დოკუმენტაცია წარმოებს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების ენასა და სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოებისათვის (მოკავშირე რესპუბლიკების საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოების გარდა), აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის საქმის წარმოებისა და დოკუმენტაციის ენა განისაზღვრება მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დადგენილი წესით, ამასთან დაცული უნდა იყოს მშობლიური ენისა და სსრ კავშირის ხალხთა ენების გამოყენებაში მოქალაქეთა უფლებების არშელახვის პრინციპი.

მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკებში საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ბლანკების, ბეჭდების, შტამპების, შტემპელების, დასახელების აბრების ტექსტები ფორმდება შესაბამისი მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების ენებსა და სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკებში დასახლებული პუნქტების, ქუჩების, მოედნების დასახელებანი, საგზაო მაჩვენებლები ფორმდება შესაბამისი მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების ენებსა და სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

მუხლი 19. ენების გამოყენება მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში უცხოენოვანი მოსახლეობის კომპაქტური ბინადრობის ადგილებში

მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკებში უცხოენოვანი მოსახლეობის კომპაქტური ბინადრობის ადგილებში მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის ენასთან ერთად სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში, საქმის წარმოებაში, დოკუმენტაციის გაფორმებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენა. ასეთი გამოყენების წესს განსაზღვრავს მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკა წინადადებარე კანონის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 20. ოფიციალური მიმოწერა

ოფიციალური მიმოწერა და სსრ კავშირის სახელმწიფო ორგანოებთან მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის, ეროვნული, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სხვა ფორმების ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ორგანოებს შორის ოფიციალური მიმოწერა და სხვა ფორმების ოფიციალური ურთიერთობა ხორციელდება ორივე მხარისათვის მისაღებ ენაზე ან სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

მუხლი 21. საკავშირო მნიშვნელობის ენერგეტიკულ და სატრანსპორტო სისტემებში სახმარი ენა

საკავშირო მნიშვნელობის ენერგეტიკული და სატრანსპორტო სისტემების (მაგისტრალური რკინიგზის, საჰაერო, საზღვაო, მილსადენი ტრანსპორტი) უსაფრთხო

(დასასრული მე-2 გვ.).

გვირაბ-მშენებლები

„თბილისგვირაბმშენ ი ს“ № 32 საგვირაბო ხაზის უბანი, რომელსაც გამოცდილი მშენებელი რაულ სირაძე ხელმძღვანელობს, „ბახტრიონ-დელისის“ გადასარბენ გვირაბში შრომობს. როგორც უბნის უფროსმა გვითხრა, იქ საუკეთესოა თენგიზ ბობოხიძის ბრიგადა. მისი წევრები აქვე კომპრესორს აშენებენ. აპრილში მათ გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა, 30 ათასი მანეთის ნაცვლად 35 ათასი მანეთის სამუშაოები განხორციელდა. ბრიგადის წევრთა შორის კარგი სახელი აქვს ელექტროშემდუღებელ ვიქტორ ბარბაქაძეს.

სურათებზე: მოწინავე ელექტროშემდუღებელი ვ. ბარბაქაძე; უბნის უფროსი რ. სირაძე (შუაში) და თ. ბობოხიძის ბრიგადის წევრები.

ვარლამ გენგიშერის ფოტო.

პოზიცია — რეალური ვითარების გათვალისწინებით

6 მაისს ქუთაისში იყო რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე, რომელიც შეხვდა და ესაუბრა ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, პარტიულ აქტივს. საუბარი შეეხო იმ მიმართულებებს, რომლებიც წარმოიჩნდა ქალაქში მიმდინარე საყრილობო კრებებსა და კონფერენციებზე, სადაც დარგობრივი პრინციპის მიხედვით აირჩიეს საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატები ქუთაისისაგან.

რით მიდიან ქუთაისელი კომუნისტები ყრილობაზე?, როგორია მათი პოზიცია? — ამ კითხვებზე პასუხი არაერთხელ გაისმა მთელ რიგ ორატორთა გამოსვლებში.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თეიმურაზ შაშიაშვილი, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ნუგზარ შამუგია, პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი, დოცენტი ეკგენი ბლოაძე, საავტომობილო ქარხნის გენერალური დირექტორი რეზო ჭეიშვილი, მხატვარი ზურაბ წიტაშვილი, ლუდისა და ხილის წყლების კომბინატის პარტიული ბიუროს მდივანი თინათინ ხაბურზანია და სხვები შეეხნენ იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელიც საქართველოს კომპარტიას, თითოეულ კომუნისტს აკისრიათ მიმდინარე პროცესების რეგულირების, საქართველოს ხვალინდელი დღისათვის ერთიანი, კონსტრუქციული პოზიციის შემუშავების გზაზე. და რაოდენ დასანანია, რომ ამ ვითარებაში ყოველთვის როდი ვაღწევთ ასეთ ერთიან თანამიმდევრულ პოზიციას.

საქართველოს კომპარტია რეალურად აკავშირებს თავის რიგებში მთელი რესპუბლიკის ზნეობრივ და ინტელექტუალურ ძალებს. ეს დღეს ჭეშმარიტებაა და მოლიანად შეეხება ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციასაც. მით უმეტეს, უფრო ქმედითი, გამბედავი უნდა იყოს ეს ორგანიზაცია იმ დიდი მოვლენების წინ, რომლებიც არა მარტო მდელი სიგრძე-სიგანით წარმოიჩენენ ეკონომიკურ თუ სოციალურ სფეროში დაშვებულ შეცდომებს, არამედ გვიჩვენებენ კიდეც იმ კონსტრუქციულ მიმართულებებს, რომელთა შემუშავებაც ამ ურთულეს ვითარებაში შეძლო საქართველოს კომპარტიამ, მაშ, რატომ ხდება, რომ ბევრი მომლოდინე პასიურ პოზიციას ადგას, გზას უთმობს იმ ძალებს, რომელთაც სურთ შექმნან ქაოსი და გაურკვეველი ვადით გადასწონონ ჩვენი სახუკვარი მიზანი — საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა. ასეთი ძალები რომ არსებობენ, თვალნათლივ გამოიკვეთა საქართველოში ამ ერთი წლის მანძილზე მიმდინარე მოვლენების დროსაც, როცა ერის ჯანსაღმა ძალებმა შეძლეს სამოქალაქო ომისა და საქართველოში სამხედრო წესების შემოღების ცდები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დღეს უფრო გაბედულად უნდა შეეხედოთ შექმნილ მდგომარეობას. მრავალპარტიულობის ვითარებაში ბევრი რამ შეიცვლება. შეიცვლება დამოკიდებულებაც, ურთიერთობებიც, მუშაობის პრინციპებიც, მაგრამ კომუნისტურმა პარტიამ უნდა შეძლოს გარანტიების დაცვა. მას უნდა შესწევდეს იმის ძალა, ანგარიში გაუწიოს სხვის აზრსაც, მით უმეტეს, თუ ეს ერისათვის, საქართველოსათვის სასარგებლო იდეაა. ეს არის ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობებით მოტანილი და ჩვენი მწარე გამოცდილებით შეძენილი ჭეშმარიტება. სწორედ ამ გზით უნდა ვიაროთ, თუ გვსურს რეალური საქმით წავადგეთ ჩვენს ქვეყანას. გასაგებია, რომ ჩვენ რაღაცას ჩამოვრჩით, რაღაც გამოგვრჩა, რაღაც დროზე ვერ დავინახეთ, მაგრამ მოვლენების დასწრებას თვითმიზნად ნუ გავიხდით.

ძალზე რთულ ვითარებაში მზადდებოდა ჩვენი ყრილობა, თქვა შეხვედრაზე, და მაინც, ვფიქრობთ, ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შევძელით. თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს კომპარტიის პროგრამისა და მისი სტრუქტურული ორგანიზაციული წყობის ძირითადი დებულებების პროექტის შემუშავებაში, რომელიც მომავალმა ყრილობამ უნდა განიხილოს, მონაწილეობდა დიდი შემოქმედებითი კოლექტივი — ჩვენი სასიქადულო მეცნიერები, ხელოვნების და კულტურის გამოჩენილი მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ბევრ რამეზე მეტყველებს.

სხვა საკითხია, როგორ შეფასებას მისცემს ამ დოკუმენტს ისეთი უმაღლესი სათათბირო ორგანო, როგორიც მომავალი ყრილობაა. ერთი რამ კი ცხადია: ამ საბოლოო დოკუმენტის შემუშავება-მიღებამ, ყრილობის მთელმა მუშაობამ თვალნათლივ უნდა დაანახვოს ყველას საქართველოს კომპარტიის რეალური, ეროვნული პოზიცია. მწამს, ყრილობა გახდება ის იმპულსი, რომელიც ახალ ბიძგს მისცემს ჩვენი ერის აღორძინებისათვის ნაყოფიერი შრომის ასპარეზს — ნიჭსა და პროფესიონალიზმს, ურომლისოდაც ძნელია ხელშესახები შედეგების მიღწევა.

იმავე დღეს გივი გუმბარიძე გაეცნო ქალაქის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, რომელთა პრობლემები ამ ეტაპზე ქალაქის ხელმძღვანელთა საგანგებო ზრუნვის საგანია; დაინტერესდა ქუთაისის გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად გამოცხადების ათასი წლისთავის სამზადისთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებით. მან დაათვალიერა ისტორიული ძეგლები და ქალაქის მშენებარე ობიექტები, შეხვდა და ესაუბრა ომის ვეტერანებს, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს, სპორტსმენებს.

(საქინფორმი).

ალიარება

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის ბრძანებულებით 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოვლენილი მამაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება (სიკვდილის შემდეგ) მიენიჭა ჩვენს თანამემამულეს ფორე ნიკოლოზის ძე მოსულიშვილს.

ფორე მოსულიშვილის ცხოვრებისა და გმირობისადმი მიძღვნილ მასალებს მკითხველი გაეცნობა ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში.

სსრ კავშირში ეგვიპტის პრეზიდენტის ვიზიტის გამო

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის მოწვევით ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი საბჭოთა კავშირს ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ეწვევა შუა მაისში.

(საკდესი)

მოსკოვში ვიზიტად ჩამოდის საფრანგეთის პრეზიდენტი

ორმისტონი მორიგების შესაბამისად, საფრანგეთის პრეზიდენტი ფ. მიტერანი ვიზიტად ეწვევა მოსკოვს ი. წ. 25 მაისს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის ხალხთა ენების შესახებ

(დასასრული)

და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით დისპეტჩერთა საუბრების, დოკუმენტაციის წარმოებისას გამოიყენება სსრ კავშირის ოფიციალური ენა.

მუხლი 22. სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სახმარი ენა

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში, სსრ კავშირის შინაგან და სასაზღვრო ჯარებში, სსრ კავშირის რკინიგზის ჯარებში გამოიყენება სსრ კავშირის ოფიციალური ენა. აქ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-გამზრდელობითი მუშაობა ხორციელდება სამხედრო მოსამსახურეთა ეროვნული შემადგენლობის გათვალისწინებით.

მუხლი 23. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენა

ცენტრალური ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის გადაცემები, აგრეთვე ცენტრალური ჟურნალ-გაზეთების გამოცემა ხორციელდება სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე. ცენტრალურ ტელევიზიას და რადიოს შეუძლიათ მოაწყონ გადაცემები სსრ კავშირის ხალხთა ენებზე.

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, გაზეთებისა და ჟურნალების ენას მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკებში განსაზღვრავენ შესაბამისი რესპუბლიკები იქ მცხოვრებ ეროვნებათა ინტერესების სავალდებულო გათვალისწინებით და დედაენისა და სსრ კავშირის ხალხთა ენების ჩამრებაში მოქალაქეთა უფლებების შეუღახველობის პრინციპის დაცვით.

მუხლი 24. ენების გამოყენება საზღვარგარეთის ქვეყნებთან სსრ კავშირის ურთიერთობაში

სსრ კავშირის დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების, საგარეო-საჯარო ორგანიზაციების, საგარეოეკონომიკური ურთიერთობის ორგანოებისა და საზღვარგარეთ არსებული სსრ კავშირის სხვა დაწესებულებების საქმიანობა ხორციელდება სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე.

სსრ კავშირის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს აფორმებენ სსრ კავშირის ოფიციალურ ენაზე და მეორე ხელშემკვრელი მხარის (მხარეების) ენაზე ან სხვა ენებზე მხარეთა შეთანხმებით.

სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სსრ კავშირის სახელით მოლაპარაკების ენა განისაზღვრება მხარეთა მორიგებისამებრ, საერთაშორისო შეთანხმებებისა და დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით.

4. პასუხისმგებლობა ენების კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 25. პასუხისმგებლობა ენების კანონმდებლობის დარღვევისათვის

სსრ კავშირის ხალხთა ნებისმიერი ენისადმი მტრობისა და უგულებელყოფის პროპაგანდა, სსრ კავშირში ეროვნული პოლიტიკის კონსტიტუციური პრინციპების საწინააღმდეგო დაბრკოლებებისა და შეზღუდვების, აგრეთვე პრივილეგიების შექმნა ენების გამოყენებაში, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ენების კანონმდებლობის სხვა დარღვევების დაშვება შეუწყნარებელია და იწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მოქმედება, რომელიც არღვევს სსრ კავშირის ხალხთა ენების განვითარებისა და გამოყენების კანონმდებლობას, საჩივრდება სასამართლო და ადმინისტრაციული წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი 1990 წლის 24 აპრილი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირის ხალხთა ენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირის „კანონი „სსრ კავშირის ხალხთა ენების შესახებ“ 1990 წლის 1 ივლისიდან, კანონის იმ მუხლების გარდა, რომელთა სამოქმედოდ შემოღების სხვა ვადაც არის დადგენილი ამ დადგენილებით.

2. იმ მიზნით, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თანდათან დაინერგოს კანონის დებულებანი, დაწესდეს შემდეგი ვადები:

მე-12 მუხლი, მე-18 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები სამოქმედოდ იქნება შემოღებული ორთი წლის მანძილზე და ძალაში შევა 1991 წლის 1 ივლისიდან;

მე-18 მუხლის პირველი ნაწილის სამოქმედოდ შემოღება 6 წელიწადს გასტანს და იგი ძალაში შევა 1996 წლის 1 ივლისიდან;

მე-13 მუხლის სამოქმედოდ შემოღება 5 წელიწადს გასტანს იმ მომენტიდან, რაც დამტკიცდება თანამდებობათა ნუსხა, რომელთა დასაკავებლად საჭიროა სსრ კავშირის ოფიციალური ენისა და შესაბამისი ეროვნული ენების ცოდნა, აგრეთვე ამ თანამდებობათა დაკავების საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

რჩება მიეცეთ მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს უზრუნველყონ, რომ მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების კომპეტენციის ფარგლებში შემუშავდეს და მიღებულ იქნეს იმ თანამდებობათა ნუსხის შემცველი აქტები, რომელთა დასაკავებლად საჭიროა სსრ კავშირის ოფიციალური ენისა და შესაბამისი ეროვნული ენების ცოდნა, აგრეთვე ამ თანამდებობათა დაკავების საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1990 წლის 1 ივნისამდე: წარმოუდგინოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს წინადადებანი „სსრ კავშირის ხალხთა ენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონისათვის სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების შესატყვისობის თაობაზე;

შეუსატყვისოს აღნიშნულ კანონს სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი;

უზრუნველყოს, რომ სსრ კავშირის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა გადასინჯონ და გააუქმონ მათი ნორმატიული აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება დასახელებულ კანონს.

5. რჩება მიეცეთ მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს შეუსატყვისონ მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირის „კანონს „სსრ კავშირის ხალხთა ენების შესახებ“.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ა. ლუკიანოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 24 აპრილი.

დღესასწაულს გილოცავთ, „პრავდავ“

დღე პირველი

შემობრუნდა რა ადამიანებისაკენ, „პრავდამ“ მათთვის დღესასწაული მოაწყო. ეს სიტყვა ზუსტად შეესაბამება მთავარი პარტიული გაზეთის ფესტივალის სულისკვეთებას, რომელიც ბეჭდვითი სიტყვის დღეს — 5 მაისს გაიხსნა მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. „პრავდის“ ფესტივალზე მოსულთ ჰქონდათ ურთიერთობის, აზრთა გაზიარების, ამათის, საჭირბოროტო პრობლემების განხილვის შესაძლებლობა ერთმანეთს შორისაც და გაზეთის მესვეურებთანაც, რომლებმაც ყველა მსურველი მიიწვიეს სადისკუსიო თუ საინტერესო შეხვედრათა კლუბებში, გამოფენის პავილიონებში რომ იყო გახსნილი.

მაგრამ ყველაზე ინტენსიური „კლუბი“ პირველი საფესტივალო დღის დამდეგს, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ხეივანები გახლდათ. აქ ადამიანები შეხვდნენ. ნომერ პირველ პოლიტიკურ თანამოსაუბრეს — მიხეილ გორბაჩოვს. დიახ, სსრ კავშირის პრეზიდენტმა, სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, რომელიც „პრავდის“ ფესტივალზე მოვიდა, ძირითადი დრო მიუძღვნა ადამიანებთან შეხვედრებსა და საუბრებს.

სკკ-ბაასის მთავარი თემა იყო გარდაქმნა, მისი სიძნელენი, პრობლემები, მათი გადაჭრის გზები. ჩვენ ახლა მივუახლოვდით გადამწყვეტ პერიოდს, თქვა მიხეილ გორბაჩოვმა, მოგვიწევს მკვეთრი შემობრუნება ეკონომიკაში მიღებული კანონების ბაზაზე. მალე გაიმართება ჩვენი პარტიის ყრილობა, რომელზეც მან მტკიცედ უნდა განაცხადოს, როგორი იქნება თვითონ პარტია, მისი ადგილი და როლი განახლებად საზოგადოებაში. იქმნება წინამძღვრები განახლებული საბჭოთა ფედერაციის მშენებლობისათვის, ამაც უნდა მოხსნას ბევრი დაგროვილი პრობლემა. სრული ძალით უნდა ამოქმედდნენ საბჭოები, რომლებიც გამოიყენებენ მინიჭებულ ძალაუფლებას.

ამის პასუხად არაერთგზის გასმოდა შეძახილები: „გისურვებთ წარმატებას!“ და მ. ს. გორბაჩოვიც იმეორებდა: მე კი ნუ მისურვებთ, ყველა ჩვენგანმა ვისურვოთ ეს. დასახული ერთად უნდა განვახორციელოთ. სამწუხაროდ, ბევრი შეეჩვია სხვის მოიმედეობას, ზემოდან მითითებების ლოდინს. ახლა ვცდილობთ შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ადამიანები თავის ქვეყანაში თავს ნამდვილ ბატონ-პატრონებად გრძნობდნენ.

მიხეილ გორბაჩოვის თანამოსაუბრეებმა აღშფოთება გამოთქვეს საპირველმაისო დემონსტრაციაზე ექსტრემისტული გამოხდომის გამო. მან იგი მიიჩნიე პროვოკაციად, რომელიც გარდაქმნის წინააღმდეგ არის მიმართული.

მ. ს. გორბაჩოვი ეწვია სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე განლაგებულ „პრავდის“ ისტორიის მუზეუმის ექსპოზიციას.

„პრავდა“ ჩვენი მთავარი გაზეთია, რა თქმა უნდა, მას ყველა როდი **ეთანხმება, მაგრამ** ყველგან მაღალ მოთხოვნებს უყენებენ. ეს გასაგებია: გაზეთი ხომ ლენინის დაარსებულია, თქვა ექსპოზიციის დათვალიერების შემდეგ მიხეილ სერგის ძემ. როცა რედაქციაში ვიყავი, შეეხვდი კოლექტივს, ვთქვი, „პრავდა“ უფრო დემოკრატიული უნდა გახდეს-მეთქი. მიბარია, რომ გაზეთი სწორედ ასეთი ხდება.

შემიძლია ვთქვა, რომ იგი ჩემი გაზეთიცაა. თავის დროზე ამ გაზეთით შევიტყვე ჩინეთის მოვლენები, ფინეთის ომის დაწყების ამბავი. ჩვენი ოჯახი მუდამ იწერდა „პრავდას“ და, როცა მამაჩემი ფრონტზე წავიდა, მე და დედაჩემი კვლავინდებურად ვიწერდით ამ გაზეთს. ასე რომ, უკვე ორმოცდაათი წელია ვარ „პრავდის“ მკითხველი.

ვფიქრობ, რომ დღევანდელი ფესტივალი კარგად შეუწყობს ხელს მკითხველებსა და გაზეთის ურთიერთობის განმტკიცებას, რომ ამის შემდეგ „პრავდა“ კიდევ უფრო კარგახსნილი იქნება ყველაზე მასობრივი მკითხველისათვის. სულითა და გულით ვუსურვებ „პრავდას“ წარმატებებს. ასეთ განახლებულ „პრავდას“ კარგი მომავალი უნდა ჰქონდეს.

ფესტივალზე იყვნენ ვ. ი. ვოროტნიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ვ. ა. მედვედევი, ა. ნ. იაკოვლევი, ა. ვ. ვლასოვი, დ. ტ. იაზოვი, ა. ი. ლუკიანოვი, ე. მ. პრიმაკოვი, ბ. კ. პუგო, გ. პ. რაზუმოვსკი, ა. ნ. გორელკო, ე. ს. სტროევი, ვ. ი. უსმანოვი.

„პრავდის“ დღესასწაულის სტუმრები იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა გაზეთების წარმომადგენლები.

ო. კოსტროვინა,
ვ. ბეზბრეშნი,
საკავშირო კორ.

(მოსკოვი).

დღე მეორე

მოსკოვი, 6 მაისი. (**საკავშირო კორ.**). დღეს სრული დატვირთვით მუშაობდა მეტროს სადგური „სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა“. ორი ესკალატორი ვერ აუდიოდა ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი გაზეთის ფესტივალის სტუმართ. და დღესასწაულიც პირდაპირ მეტროს **გამოსახვალელთან ეგებებოდა** მათ... დღესასწაულის ატმოსფერო იგრძნობოდა ყველგან: ასობით ფერადი ბურთი, ლამაზი პლაკატები და ტრანსპარანტები, მუსიკა, სიმღერები და ცეკვები, სასულე ორკესტრები, ფოლკლორული ანსამბლები, ხალხური კოლექტივები სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სტუმრებს ერთი წუთითაც კი მოწყენის საშუალებას არ აძლევდნენ. სასცენო მოედნებზე მიმდინარეობდა მხიარული კონკურსები, სახუმარო შეჯიბრები, თამაშები. ბავშვთა სასიხარულოდ, ამ ცხელ დღეს მუშაობდა კომპლექსის ოცზე მეტი შადრევანი.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონებში კვლავ მუშაობდა სადისკუსიო და საინტერესო **[illegible]**ეხვედრათა კლუბები. მსურველთ შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა საუბრებში ბევრი ცენტრალური გამოცემის ჟურნალისტებთან. ცალკეულ პავილიონებში ექსპოზიციები მოეწყოთ „გაზეთებს „სოვეტსკაია როსიას“, „სელსკაია ჟიზნს“, „ტრუდს“, ჟურნალ „კომუნისტს“, სხვა ბეჭდვით ორგანოებს.

ფესტივალის მონაწილეთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია შეხვედრამ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან მართლწესრიგისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. დიდძალი ხალხი შეკრებილიყო სპეციალურ მოედანზეც, სადაც თავიანთ ოსტატობას აჩვენებდნენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჯარისკაცები და ოფიცრები.

და მაინც, შესანიშნავი ამინდის მიუხედავად, რომელიც ამ დღეს დღესასწაულს მასპინძლებს „ეხმარებოდა“ მის მოწყობაში, მათი გულწრფელი მისწრაფების მიუხედავად — მრავალფეროვანი გაეხადათ პროგრამა, ვერ ვიტყვით, რომ მისი ორგანიზაცია უნაკლო ყოფილიყოს. გაზეთის ფესტივალი ჩვენთვის ახალი საქმეა და გარკვეული ხარვეზებიც გარდუვალია. თუმცა, მათ გავლენა არ მოუხდენიათ „პრავდის“ დღეების სტუმართა და მონაწილეთა საზეიმო განწყობილებაზე.

იმედი ვიქონიოთ, რომ შემდგომი ამგვარი დღესასწაულის გაკრიტიკებას ვეღარ გაბედავენ ყველაზე სკეპტიკოსებიც კი!

აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოს სესია

აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიამ აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი თენგიზ სულიმანის ძე ხახვა — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე.

განიხილეს აჭარის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, აჭარის ასსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ, ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონთა პროექტები. კანონმდებლობათა გამო კამათის დროს შემოვიდა მთელი რიგი წინადადებანი და მოსაზრებანი, რის გამოც აჭარის ასსრ უზენაესმა საბჭომ, მიიღო რა მთლიანად შემოთავაზებული კანონები და შესაბამისი დადგენილებანი, საკანონმდებლო განხრახულობათა კომისიას დაავალა გაანალიზოს თითოეული მათგანი და თავისი დასკვნა წარუდგინოს აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოს შემდეგ სესიას.

სესიამ მიიღო კანონი აჭარის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და დაამტკიცა დადგენილება 1989 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

მიიღეს აგრეთვე კანონი აჭარის ასსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. დამტკიცდა ანგარიში ავტონომიური რესპუბლიკის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თაობაზე.

(საქინფორმი).

როგორ ვიმუშავეთ სამ თვეში

საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგები 1990 წლის პირველ კვარტალში

ფინდინარე წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას მუშაობა რთულ სამეურნეო პირობებში უხდებოდა. დაძვეოდა წარმოების ორგანიზაციის დონე, მოიშალა დისციპლინა მეურნეობრიობის ყველა ძირითად უბანზე. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში წარმომჭნილმა სიძნელეებმა, ელექტროენერგიის დეფიციტის ზრდამ.

ყოველივე ამის გამო განვლილ პერიოდში ვერ მოხერხდა ეკონომიკის სტაბილური განვითარება, სამეურნეო საქმიანობის გაჯანსაღების პროცესების დაწყება. პირიქით, კიდევ უფრო იკლო საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპმა, შემცირდა მისი ეფექტიანობა. წარმოებული ეროვნული შემოსავალი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 6,5 პროცენტით, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება — 6,3 პროცენტით.

სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევების შედეგად გაიზარდა მომხმარებლებისათვის დაკლებული პროდუქციის მოცულობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი აღემატება მის შემოსავალს, მკვეთრად გაიზარდა შრომის ანაზღაურება შრომის ნაყოფიერების შემცირების პირობებში, ვერ მოხერხდა ფულის მიმოქცევის სტაბილიზაცია.

საცალო საქონელბრუნვის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ მაინც ვერ აკმაყოფილებს სამომხმარებლო ბაზარზე მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას.

რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები ასეთია:

	1990 წ. 30 აპრილისთვის ან გასულ თვეებთან შედარებით (ფულადი ფასებით)	1990 წ. I კვარტალი ფაქტობრივად	
		მილიონი მანეთი (ფასებ-ში)	პროცენტებით 1989 წ. I კვარტალთან (შესადარ ფასებში)
სამრეწველო პროდუქცია		2392,2	90,5
სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება (საცალო ფასებში)	8605,3	1922,5	98,4
მათ შორის:			
სასურსათო საქონელი	3054,2	604,7	89,7
ალკოჰოლიანი სასმელები	1370,9	374,6	101,9
არასასურსათო საქონელი	4180,2	943,2	103,4
მათ შორის მსუბუქი მრეწველობის საქონელი	2218,6	527,5	99,8
ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანა სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების და საწარმოებისა და ორგანიზაციების ხარჯზე (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით)	3159[1]	161	97
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით):			
ცენტრალიზებული საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრები	1500[1]	239	78,6
ტვირთის გადაზიდვა (გაგზავნა) საერთო სარგებლობის ტრანსპორტით, მილიონი ტონა	1312[1]	128	125,5
მგზავრთბრუნვა საერთო სარგებლობის ტრანსპორტით, მილიარდი მგზავრკილომეტრი	233,8	52,6	91,4
მოგება სახალხო მეურნეობაში	17,7	3,6	94,3
მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	2299,8[1]	444,6	90,5
გაცემები და შეღავათები მოსახლეობაზე მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან	5487,0	1260,0	106,0
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	2968	742	100,3
მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურება	7440	1683	110,2
საცხოვრებელი სახლების მოქმედებაში შეყვანა ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების და საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე, ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი	1099	215	101,9
	1079,7	128,4	70,5

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გრძელდებოდა მეურნეობრიობის ახალი ფორმების დანერგვა, თუმცა მისი მასშტაბები ჯერ კიდევ მცირეა. 1990 წლის 1 აპრილისათვის სანარდო იჯარით მუშაობდა 17 სამრეწველო საწარმო, 2 სამშენებლო და 8 საცალო საგაჭრო ორგანიზაცია, 499 სასოფლო-სამეურნეო საწარმო. შეიქმნა 12 ათასი გლეხური მეურნეობა. ერთობლივ საწარმოებში მუშაობდა 1500 კაცი (გასული წლის დასაწყისში — 240).

სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო 2655 ათასი კაცი (1989 წლის პირველ კვარტალში 2597 ათასი), მათ შორის სახელმწიფო სექტორში — 2166 ათასი, კოლმეურნეობებში — 200 ათასი, კოოპერატივებსა და ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში (შემთავსებლების გარეშე) — 110 ათასი, პირად დამხმარე მეურნეობაში — 179 ათასი კაცი.

გაფართოვდა ეკონომიკის კოოპერაციული სექტორი. კოოპერატივებში მომუშავეთა რაოდენობამ (შემთავსებლების ჩათვლით) 1 აპრილის მდგომარეობით 145 ათასს მიაღწია. სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელ კოოპერატივებში დასაქმებულია კოოპერატორთა 40 პროცენტზე მეტი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კოოპერატივებში — ყოველი ძეხუთე.

მომდინარე წლის იანვარ-მარტში სამუშაოზე მუშაკთა მასობრივი გამოუცხადებლობის (გაფიცვების) გამო დაიკარგა 56 ათასი კაცდღე, ანუ სამუშაოდ ყოველდღიურად არ მუშაობდა დაახლოებით 800 კაცი. სამუშაო დროის მოცდენების გამო პროდუქციის დანაკარგმა 4 მილიონ მანეთს გადაამეტა.

გაიზარდა კადრების დენადობა. მრეწველობასა და მშენებლობაში მან შეადგინა 16 პროცენტზე მეტი (გასული წლის დასაწყისში შესაბამისად 15 და 14 პროცენტი), რაც ძირითადად გამოწვეულია კოოპერატივებში მუშა-მოსამსახურეთა გადასვლით.

ფინანსები და ფულის მიმოქცევა

რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობა კვლავ რთულია. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება მომდინარეობს დაძაბულად.

სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან (შემოსავლებიდან) ბიუჯეტში გადასახდელებმა 151,1 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 31 მილიონი მანეთით აღემატება და ამავე დროს 26,8 მილიონი მანეთით ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულზე.

ბიუჯეტში შეტანილია 453 მილიონი მანეთის ბრუნვის გადასახადი, ანუ 0,5 მილიონი მანეთით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და თითქმის 6 მილიონი მანეთით, ანუ 1,3 პროცენტით ნაკლები გეგმით გათვალისწინებულზე.

სახალხო მეურნეობაში მიღებულია (სოფლის მეურნეობის, სამომხმარებლო კოოპერაციისა და სოცდაზღვევის გარდა) 446,4 მილიონი მანეთი მოგება, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 46,8 მილიონი მანეთით, ანუ 9,5 პროცენტით ნაკლებია. საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ვერ მიიღეს გათვალისწინებულთან შედარებით 35,7 მილიონი მანეთის მოგება.

ზარალიანია სამრეწველო საწარმოების 6 პროცენტი, სამშენებლო ორგანიზაციების — 5, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების 15 პროცენტი.

ადგილი ჰქონდა გამოშვებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე ფასებისა და ტარიფების დამახინჯების შემთხვევებს. პირველ კვარტალში ფასების კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენის შედეგად ბიუჯეტში ამოღებულმა თანხამ 321 ათასი მანეთი შეადგინა.

გაუარესდა საწარმოებისა და ორგანიზაციების საგადასახდელო დისციპლინა. ბანკების სესხებისა და მიმწოდებლებს შორის ურთიერთანგარიშსწორების მიხედვით გადაუხდელმა თანხამ მომდინარე წლის I კვარტალში 3214 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც 67,2 მილიონი მანეთით, ანუ 2,1 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდს. დავალიანების დიდი თანხებია საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომიტეტის (1210,2 მილიონი მანეთი), საქართველოს სსრ სახმრენის (306,2 მილიონი მანეთი), ცეკავშირის (144,8 მილიონი მანეთი) საწამოებსა და ორგანიზაციებში.

[1] საწარმოების და ორგანიზაციების გეგმების ჯამით.

მოსახლეობის შემოსავალი

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 7 პროცენტით და შეადგინა 200 მანეთი. ხელფასის ზრდა ძირითადად განპირობებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ღონისძიებების განხორციელებით, შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებით და პრემიების ზრდით. კოლმეურნეების შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 140 მანეთი, ნაცვლად 113 მანეთისა 1989 წლის პირველ კვარტალში.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო 742 მილიონი მანეთის დახმარება და შეღავათები, რაც 2 მილიონი მანეთით აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდში გაცემულ თანხას.

1990 წლის 1 იანვრიდან 70 მანეთამდე გაიზარდათ ყოველთვიური დახმარებანი ბავშვობიდან ინვალიდებს, რომელთა რიცხვი აქვამდე 20 ათასზე მეტია. გაიზარდა მინიმალური პენსიები. შემოღებულია პენსიების სრული ოდენობით გაცემა მომუშავე პენსიონერი მუშებისათვის, ოსტატებისთვის, ინვალიდებისთვის (მიუხედავად მათი ხელფასის ოდენობისა).

მოსახლეობის ფულადმა სახსრებმა რესპუბლიკური შენახვითი ბანკის დაწესებულებებში პირველი აპრილის მდგომარეობით 8,98 მილიარდი მანეთი შეადგინა, მათ შორის ანაბრებმა — 7,4 მილიარდი მანეთი, რაც 1,1 მილიარდი მანეთით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

სამომხმარებლო ბაზარი და მომსახურების სფერო

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებამ (ალკოჰოლიანი სასმელების ჩათვლით) 1990 წლის I კვარტალში შეადგინა 1922,5 მილიონი მანეთი (საცალო ფასებში), რაც 32 მილიონი მანეთით, ანუ 1,6 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ვერ შესრულდა არასასურსათო საქონლის, მათ შორის მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოების საგეგმო დავალებები. ამასთან, მიუხედავად სასურსათო საქონლის წარმოების გეგმის 1,9 პროცენტით გადაჭარბებისა, გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით მისი მოცულობა შემცირდა დაახლოებით 70 მილიონი მანეთით.

ცალკეული სახეობის კვების პროდუქტების წარმოების მაჩვენებელი ასეთია:

	წარმებულია 1990 წლის I კვარტალში	გეგმის შესრულების პროცენტი	1990 წლის I კვარტალი 1989 წლის I კვარტალთან შედარებით
ხორცი (სამრეწველო გადამუშავება), ათასი ტონა	14,6	86,9	74,1
ძეხვეული, ათასი ტონა	6,8	81,8	77,8
სასურსათო თევზის პროდუქცია (კონსერვების ჩათვლით), ათასი ტონა	15,1	77,4	68,9
კარაქი, ტონა	165	103,1	81,3
ცხიმიანი ყველი, ათასი ტონა	2,5	89,2	75,3
მოუხდელი რძის პროდუქცია (რძეზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	59,3	104,0	95,6
მარგარინის ნაწარმი, ათასი ტონა	11,3	100,1	101,1
მცენარეული ზეთი, ათასი ტონა	3,9	102,3	104,5
საკონდიტრო ნაწარმი, ათასი ტონა	16,7	98,4	98,1
ხარისხოვანი დაფასოებული ნატურალური ჩაი, ათასი ტონა	24,5	101,7	80,3
კონსერვები, მილიონი პირობითი ქილა	95,9	107,0	59,0
მათ შორის ხილბოსტნეულის	91,9	108,6	58,0
მინერალური წყლები, მილიონი დეკალიტრი	2,9	101,7	93,1
უალკოჰოლო სასმელები, მილიონი დეკალიტრი	3,2	104,6	103,9
ალკოჰოლიანი სასმელები (აბსოლუტურ ალკოჰოლზე გადაანგარიშებით), მილიონი დეკალიტრი	0,9	95,1	96,9

1989 წლის პირველ კვარტალთან შედარებით შემცირდა: ხორცის წარმოება — 5,2 ათასი ტონით, ძეხვეულის — 1,9 ათასი, სასურსათო თევზის —6,9 ათასი, ყველის — 0,8 ათასი, მოუხდელი რძის პროდუქციის — 2,7 ათასი, საკონდიტრო ნაწარმის — 0,3 ათასი, ხარისხოვანი დაფასოებული ნატურალური ჩაის — 6,0 ათასი ტონით, კონსერვების — 66,6 მილიონი პირობითი ქილით.

წარმოებულია 527,5 მილიონი მანეთის მსუბუქი მრეწველობის საქონელი. მათი წარმოება შემცირდა 0,2 პროცენტით. ვერ შესრულდა ბამბეულის ქსოვილის, წინდის, ტრიკოტაჟის ნაწარმის, ფეხსაცმლისა და კოლგოტის წარმოების საგეგმო დავალებები.

სახელშეკრულებო ვალდებულება დაარღვია მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თითქმის ყოველმა მესამე საწარმომ, მომხმარებლებს დააკლეს 25 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის გამოშვება შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

	წარმებულია 1990 წლის I კვარტალში	გეგმის შესრულების პროცენტი	1990 წლის I კვარტალი 1989 წლის I კვარტალთან შედარებით	
			აბსოლუტური მატება (+) კლება (−)	პროცენტებით
ქსოვილები, — სულ, მილიონი კვადრატული მეტრი	29,9	92	—0,4	99
მათ შორის:				
ბამბეულის	9,5	76	—2,3	81
აბრეშუმის	12,7	104	1,5	113
შალის	2,6	102	0,3	115
ტრიკოტაჟის ნაწარმი, მილიონი ცალი	14,0	89	—1,3	92
მათ შორის ბავშვის	8,3	95	—0,7	92
წინდები, მილიონი წყვილი	8,7	93	0,4	105
მათ შორის ბავშვის	1,9	94	0,1	106
სამკერვალო ნაწარმი (დამუშავების ნორმატიული ღირებულებით), მილიონი მანეთი	17,8	99,5	2,5	116
ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	4,1	92	—0,3	92
მათ შორის ბავშვის	1,9	93	—0,6	77

არასასურსათო საქონლის წარმოება ცალკეულ სახეობათა მიხედვით:

	წარმებულია 1990 წლის I კვარტალში	გეგმის შესრულების პროცენტი	1990 წლის I კვარტალი 1989 წლის I კვარტალთან შედარებით	
			აბსოლუტური მატება (+) კლება (−)	პროცენტებით
ფერადი გამოსახულების ტელევიზორები, ათასი ცალი	9,6

როგორ ვიმუშავეთ სამ თვეში

(დასასრული)

ტუფთა ქაღალდის ნაწარმი, მილიონი მანეთი	8,2	86	—1,2	87
გალვანური ელემენტები და ბატარეები ელექტროსაყოფაცხოვრებო ხელსაწყოებისათვის, მილიონი ცალი	21,6	94	5,5	134
სამაღე სახლები, ათასი ცალი	0,2	71	0,1	150
წვრილად დაფასოებული სინთეზური სარეცხი საშუალებანი, ათასი ტონა	1,7	103	0,1	108
სარეცხი საპონი, ათასი ტონა	2,1	66	—1,3	62

გეგმასთან შედარებით ნაკლებია გამოშვებული: ფერადი გამოსახულების ტელევიზორები — 7,9 ათასი ცალით, საბაღე სახლები— 98 ცალით, გალვანური ელემენტები და ბატარეები — 1,4 მილიონი ცალით, სათამაშოები — 33 ათასი მანეთით.

საცალო საქონელბრუნვა და ფასიანი მომსახურება. 1990 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ შეადგინა 1682,6 მილიონი მანეთი. გეგმა გადაჭარბებულია 11 მილიონი მანეთით. ამასთან, ვერ უზრუნველყვეს მისი შესრულება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და 13 რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებმა. განსაკუთრებით ჩამორჩნენ აბაშის, ახმეტის, ლაგოდეხის, ბოგდანოვკის და დმანისის რაიონების სავაჭრო ორგანიზაციები.

შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით რესპუბლიკაში საქონელბრუნვის მოცულობა 152,9 მილიონი მანეთით (10,2 პროცენტით) გაზრდა. აბსოლუტური მატების დაახლოებით 8,6 პროცენტი მოდის ალკოჰოლიანი სასმელების წილად (გაიზარდა 13,1 მილიონი მანეთით, ანუ 18 პროცენტით), ხოლო 29 პროცენტი (დაახლოებით 44,3 მილიონი მანეთი) მოდებული საშუალო ჯგუფური ფასების ზრდის ხარჯზე. უშუალოდ მოსახლეობისათვის მიყიდული სასმელები (ალკოჰოლიანი სასმელების გაოშე) გაიზარდა 95,5 მილიონი მანეთით. 2-13 პროცენტით გაიზარდა შაქრის, საკონდიტრო ნაწარმის, რძისა და ხორცის კონსერვების, მარილის რეალიზაცია; ამასთან I-II პროცენტით შემცირდა თევზისა და თევზის პროდუქტების, მოუხდელი რძის პროდუქციის, მაკარონის ნაწარმის, კვერცხის რეალიზაცია, 18-29 პროცენტით — ხორცის, ძეხვეულის და ყველის რეალიზაცია. იზრდება დაძაბულობა სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგებაში, რაც უმთავრესად გამოწვეულია სახელმწიფო რესურსების უკმარისობით.

მოსახლეობის სურსათით არასაკმარისმა უზრუნველყოფამ გამოიწვია საკოლმეურნეო ბაზარზე ფასების შემდგომი ზრდა. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით რესპუბლიკის ოთხი ქალაქის (თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი) ბაზრებში ფასები საშუალოდ 8,2 პროცენტით გაიზარდა; განსაკუთრებით გაიზარდა ფასები მარცვლეულზე — 31 პროცენტით, სტაფილოზე — 44 პროცენტით, ჯარხალზე — 59 პროცენტით, ციტრუსებზე — 47 პროცენტით, ყველზე — 12 პროცენტით; 3-8 პროცენტით გაიზარდა ფასები — ძროხის და ღორის ხორცზე, ქათამზე.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მიერ ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება ხილბოსტნეულზე. 1990 წლის პირველ კვარტალში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით საბაზრო ფონდით მოსახლეობას მიეწოდა ნაკლები: კომბოსტო და ნიორი — 28 პროცენტით, ხახვი — 49 პროცენტით, ჯარხალი — 61 პროცენტით, ციტრუსები —78 პროცენტით.

მიმდინარე კვარტალში შარშანდელთან შედარებით 30 პროცენტზე მეტად გაიზარდა ელექტრომტვერსასრუტების, რადიომიმღებები მოწყობილობების, მოთუთიებული ჭურჭლის, ფერადი ტელევიზორების, ბაბმისა და ბრეზენტის ქსოვილების, ხელის საპნის მიწოდება; 11-23 პროცენტით — ფალის ქსოვილების, ტრიკოტაჟის ნაწარმის, წინდა-თათმანის, ტანსაცმლისა და თეთრეულის, ტყავის ფეხსაცმლის, მაცივრების და საფეიერო გალანტერეის; 4-10 პროცენტით — ველოსიპედების, მაგნიტოფონების, ტყავსაგალანტერეო საქონლის და სუვენირების. ამასთანავე, 5 პროცენტით შემცირდა სარეცხი მანქანების, 11 პროცენტით — საკერავი მანქანების, 16 პროცენტით — მინანქრიანი და ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭლის, 25 პროცენტით — ფოტოაპარატების, 29 პროცენტით — ელექტროთოთოების მიწოდება.

რესპუბლიკის სავაჭრო ქსელში შემოვიდა 1,3 პროცენტით მეტი მსუბუქი მრეწველობის საქონელი, მაგრამ იგი სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. კვლავ დეფიციტად რჩება შეკერილი ნაწარმი, თეთრეული ტრიკოტაჟი, წინდა-თათმანის ნაწარმი, ბავშვისა და ქალის კოლგოტები, ფეხსაცმელი, ბამბის თეთრეული, მამაკაცის პერანგები. მაღაზიებიდან გაქრა ლოგინის თეთრეული, სხვადასხვა სახეობის, განსაკუთრებით შალის ქსოვილები. არ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა ელექტროსაყოფაცხოვრებო მოწყობილობაზე, ტელევიზორებზე, ელექტროსაყოფაცხოვრებო აპარატებზე, ფოტო-კინო საქონელზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, ავეჯზე, ჭურჭლეულზე და სხვა საქონელზე. შეფერხებებით მიმდინარეობდა ხე-ტყისა და საშენი მასალების რეალიზაცია.

მიუხედავად სპანისა და სარეცხი საშუალებების რეალიზაციის მნიშვნელოვანი ზრდისა, მათზე მოთხოვნილება არ კმაყოფილდება.

გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის ფასები. საცალო ფასების ინდექსმა, რომელიც გაანგარიშებულია საქონელ-წარმომადგენლების ფასების რეგისტრაციით და ფასწარმომქმნის ფაქტორებთან ერთად ითვალისწინებს სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ბაზრზე რეალიზებული პროდუქციის მოცულობის თანაფარდობას, შეადგინა 2,9 პროცენტი; 2-3 პროცენტით გაიზარდა ფასები ხორცზე და ფრინველზე, რძეზე და რძის პროდუქტებზე, ბურღულზე, ლობიოზე; 9,4 პროცენტით — თევზის პროდუქტებზე, 15,6 პროცენტით — კარტოფილზე, 18,8 პროცენტით — ბოსტნეულზე, 7,4 პროცენტით ხილზე; 1,5-3 პროცენტით — ტყავის ფეხსაცმელზე, მინის ჭურჭელზე, ქსოვილებზე, ტანსაცმელზე, ტრიკოტაჟის ნაწარმზე; 4-6 პროცენტით — წინდა-თათმანზე, სპორტსაქონელზე, ველოსიპედებზე და მოპედებზე. უცვლელი დარჩა ან რამდენადმე შემცირდა ფასები კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ზოგიერთი სახეობის საქონელზე.

კარტოფილისა და ხილბოსტნეულის სახელმწიფო საცალო ფასები რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქში საგრძნობლად აღემატებოდა წინა წლის შესაბამის დონეს. მაგალითად, მარტში კარტოფილი თბილისში, ბათუმში და სოხუმში იყიდებოდა — 3-ჯერ უფრო ძვირად, ხახვი — თბილისში, ქუთაისში და ბათუმში — 2-ჯერ; კომბოსტო — ქ. თბილისში—2-ჯერ, ბათუმში სოხუმში — 1,7-ჯერ; ჯარხალი 3,5-6-ჯერ — თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და სოხუმში; სტაფილო თბილისში — 3,7-ჯერ, ბათუმში, ქუთაისში და სოხუმში 2,7-ჯერ ძვირად.

1990 წლის I კვარტალში **ფასიანი მომსახურების მოცულობამ** შეადგინა 215 მილიონი მანეთი, გეგმა შეასრულეს 100,1 პროცენტით. ამასთანავე, გეგმა ვერ შესრულდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, თბილისში, ფოთში, გორში, წყალტუბოში, ქიათურაში და რესპუბლიკის 12 რაიონში. 1989 წლის პირველ კვარტალთან შედარებით ფასიანი მომსახურების მოცულობა გაიზარდა 4 მილიონი მანეთით, ანუ 1,9 პროცენტით; მიღწეული მატების ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება წლიური გეგმით გათვალისწინებულს (11,3 პროცენტი).

საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობამ შეადგინა 62 მილიონი მანეთი, რაც 4,1 პროცენტით აღემატება 1989 წლის შესაბამისი პერიოდის დონეს. გეგმა შესრულდა 101,7 პროცენტით. **საერთო სარგებლობის სამგზავრო ტრანსპორტით** გადაყვანილია 179,6 მილიონი მგზავრი, მგზავრთბრუნვამ შეადგინა 3,6 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი, რაც შესაბამისად 6,4 და 5,7 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე.

საერთო სარგებლობის ავტობუსებით და მსუბუქი ტაქსებით მგზავრთა გადაყვანით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 48,2 მილიონი მანეთი. გეგმა შესრულდა 101,5 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემოსავლები შემცირდა 3 პროცენტით.

არ უმჯობესდება მგზავრთა მომსახურების ხარისხი. 1990 წლის I კვარტალში დანიშნულების საბოლოო პუნქტში დაგვიანებით ჩავიდა მატარებლების (საგარეუბნოს გარდა) 27 და ავტობუსების 9,5 პროცენტი. ადგილი ჰქონდა საგარეუბნო მატარებლების დანიშნულების საბოლოო პუნქტში მასიურად დაგვიანებით ჩასვლას.

საბაგირო გზებით გადაყვანილია 1160 ათასი მგზავრი, რაც გეგმის 100,1 პროცენტია და ნაკლებია გასული წლის 1 კვარტალთან შედარებით 20,4 პროცენტით.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა მოსახლეობას გაუწიეს 14,5 მილიონი მანეთის მომსახურება, რაც 0,2 პროცენტით ნაკლებია 1989 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. გეგმა შესრულდა 94,6 პროცენტით. საქალაქო სატელეფონო კავშირგაბმულობის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე შემოსულმა განცხადებებმა შეადგინა 171 ათასი, სოფლად — 14 ათასი. ხშირია დაზიანებათა აღმოფხვრის საკონტროლო ვადების დარღვევა.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა მოსახლეობისათვის სატელეფონო აპარატების დადგმის კვარტალური გეგმა შეასრულეს 101,4 პროცენტით. არ შესრულდა ქალაქად და სოფლად ტაქსოფონებია და კავშირგაბმულობის სამინისტროს კვანძებში ძირითადი რადიოსატრანსლაციო წერტილების ჩართვის გეგმა (შესრულება შესაბამისად — 22,2 და 65,5 პროცენტი).

საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობა

დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენდა 1,9 ათასი ბინა. საექსპლუატაციოდ გადაეცა 180 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი ანუ წლიური დავალების 13,5 პროცენტი.

გრძელდება აჭარის მთიანი რაიონებიდან და სვანეთიდან სტიქიური უბედურებით დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების აშენებლობა. პირველ კვარტალში ამ მიზნით ათვისებულია 10 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდებები. ამასთან, ამ პერიოდში არცერთი საცხოვრებელი სახლი ექსპლუატაციაში არ ჩაბარებულა.

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე საექსპლუატაციოდ ჩაბარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 788 მოსწავლის ადგილით, სკოლამდელი დაწესებულებები — 1300 ადგილზე; ექსპლუატაციაში არ ჩაბარებულა პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებული არც ერთი ამბულატორიულ-პოლიკლინიკური და საკლუბო დაწესებულება.

გარემოს მდგომარეობა. ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების გამო რესპუბლიკის რიგ ქალაქებსა და რაიონებში ეკოლოგიური ვითარება რთულია. სტაციონარული წყაროებიდან საჰაერო აუზში მავნე ნივთიერებების გამოფრქვევა ხშირად აჭარბებდა ზღვრულად დასაშვებ დონეს. ქ. ქუთაისში მტვრის საშუალო შემცველობა ატმოსფეროში 8-ჯერ აღემატებოდა დასაშვებს, ქ. რუსთავში — 4-ჯერ; ზესტაფონში მანგანუმის ორკანგის საშუალო კონცენტრაცია ჰაერში 12-ჯერ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ შემცველობას. თებერვლის თვეში ატმოსფეროში მტვრის მოცულობის 3 კვეთრი ზრდა აღინიშნა ბათუმში, კასპში; მარტში — ბათუმში.

მიმდინარე წლის იანვარში სოხუმის რაიონის ახალი ეშერის სადგურის დასაცლელ მოედანზე ცისტერნის გასკდომის შედეგად დაიღვარა ოლიფა, რასაც მოჰყვა გარემოს მნიშვნელოვანი გაჭუჭყიანება. დამნაშავეს — მეთვეზეობის კოლმეურნეობების საქართველოს რესპუბლიკური კავშირის სახალხო მოხმარების საქონლისა და დამხმარე მასალების საკოლმეურნეობათაშორისო რესპუბლიკურ საწარმოს წარედგინა პრეტენზია 1,5 მილიონ მანეთზე მეტი ოდენობით.

სამართალდარღვევა

1990 წლის პირველ კვარტალში რეგისტრირებულია 4998 დანაშაული, რაც 773 ერთეულით (18,3 პროცენტით) მეტია, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში.

რეგისტრირებულ დანაშაულთა შორის ყოველი მეხუთე მძიმე დანაშაულია. მათი რიცხვი გაიზარდა 44,9 პროცენტით და შეადგინა 956.

რეგისტრირებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების 742 შემთხვევა, ანუ 25,8 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში, მოქალაქეთა პირადი ქონების დატაცების 1014 (63,3 პროცენტით მეტი), განზრახ მკვლელობის 68 (2,3-ჯერ მეტი), განზრახ სხეულის მძიმე დაზიანების 102 (61,2 პროცენტით მეტი), გაუპატიურების 17 (54,6 პროცენტით მეტი), ხულიგნობის 153 (17,7 პროცენტით მეტი) შემთხვევა.

შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ რეგისტრირებულია ავტომოტორანსპორტის გატაცების 192 შემთხვევა, ანუ 76,2 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში. არასრულწოვანთა მიერ ან მათი თანამონაწილეობით ჩადენილია 137 დანაშაული (11,4 პროცენტით მეტი).

მრეწველობა

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საწარმოთა მუშაობის შედეგებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ძირითადად რესპუბლიკის გარეთან ნედლეულით, მასალებითა და მაკომპლექტებელი ნაკეთობებით არადამაკმაყოფილებელმა მომარაგებამ, ელექტროენერგიის მიწოდებაში მნიშვნელოვანმა შეფერხებებმა.

გაუარესდა სახელშეკრულებო დისციპლინა. პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულებულია 95,5 პროცენტით, მომხმარებლებს ვერ მიეწოდა 100 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია (1989 წლის I კვარტალში შესაბამისად 98,3 პროცენტი და 39 მილიონი მანეთი). სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება ვერ უზრუნველყო ყოველმა მეხუთე საწარმომ და გაერთიანებამ.

სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა გასული წლის I კვარტალთან შედარებით შემცირდა 9,5 პროცენტით (246 მილიონი მანეთით), მათ შორის „ა“ ჯგუფის პროდუქციის წარმოება — 14,6 პროცენტით, „ბ“ ჯგუფის — 1,4 პროცენტით. ამასთან, წარმოების მოცულობის შემცირება დამახასიათებელია სახალხო-სამეურნეო ყველა კომპლექსისათვის. პროდუქციის საშუალო დღეღამური გამოშვება ამავე პერიოდში 8,9 პროცენტით შემცირდა. დასაქმებულთა აბსოლუტური რიცხვის 13,4 ათასი კაცით შემცირების პირობებში შრომის ნაყოფიერება დაეცა 7 პროცენტით.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციების მიერ საბითუმო ვაჭრობის წესით რეალიზებულია 154,9 მილიონი მანეთის საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქცია. თავისუფალი რეალიზაციის გზით სამრეწველო საწარმოების მიერ მომხმარებლებს მიეწოდა 70,8 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მრეწველობის განვითარების ძირითადი მონაცემები ხასიათდება შემდეგნაირად (პროცენტობით):

	პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულება	მიწოდებული პროდუქციის მოცულობა, მილიონი მანეთი	საწარმოთა ხვედრითი წილი, რომლებმაც ვერ შეასრულეს სახელშეკრულებო ვალდებულებანი	მოგების გეგმის შესრულება	მატების ფაქტობრივი ტემპი: პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) მოცულობის	მატების ფაქტობრივი ტემპი: შრომის ნაყოფიერების
აფხაზეთის ასსრ	90,2	10008	24,2	— 6,3	— 1,9	
აჭარის ასსრ	97,7	2389	19,0	—13,2	— 6,4	
სამხრეთ ოსეთის აო	85,2	4116	40,0	—16,1	—11,1	
ქალაქები:						
თბილისი	96,7	27902	25,6	— 6,8	— 3,2	
სოხუმი	88,8	5371	38,1	—11,9	— 6,5	
ბათუმი	98,3	1653	24,2	— 9,8	— 3,3	
ცხინვალი	83,5	4080	46,7	—15,3	—10,1	
ქუთაისი	96,7	6944	44,7	— 0,5	2,1	
რუსთავი	96,9	3990	15,0	—14,9	—11,2	
ფოთი	96,9	1069	21,1	—11,4	—11,1	
გაგრა	76,8	2448	23,1	—15,9	— 8,5	
გორი	78,7	8729	28,6	—12,5	—10,2	
ზუგდიდი	94,9	2665	31,6	— 8,0	— 6,3	
ტყვარჩელი	93,6	237	40,0	27,1	33,6	
ტყიბული	97,8	137	30,0	22,9	20,5	
წყალტუბო	100,0	—	—	15,1	14,1	
ჭიათურა	93,2	2038	66,7	—24,2	—21,1	

მიუხედავად მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვისა, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია ახალი სიმძლავრეების გამოყენება, მხოლოდ მეოთხედით იყო დატვირთული კონსერვის წარმოების სიმძლავრე რესპუბლიკის სახაგრომრეწვის გორის № 2 საკონსერვო ქარხანაში, სადაც პროდუქციის დანაკარგმა შეადგინა 7,8 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი. თბილისის უქმოვადი ქსოვილების ფაბრიკაში სიმძლავრე, რომელიც მოქმედებაში შევიდა 1989 წლის დეკემბერში და რომლის ათვისების ხანგრძლივობის ნორმა 6 თვეა, პროდუქცია საერთოდ არ წარმოებულა.

სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მუშაობა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (პროცენტობით):

	პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება	მიწოდებული პროდუქციის მოცულობა, მილიონი მანეთი	საწარმოთა ხვედრითი წილი, რომლებმაც ვერ შეასრულეს სახელშეკრულებო ვალდებულებანი	მოგების გეგმის შესრულება	მატების ფაქტობრივი ტემპი: პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) მოცულობის	მატების ფაქტობრივი ტემპი: შრომის ნაყოფიერების
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	92,1	3,1	22	105,6	— 0,3	— 0,6
მანქანათმშენებლობის კომპლექსი	95,4	9,5	58	68,7	— 7,0	— 4,8
მეტალურგიული კომპლექსი[1]	93,1	7,4	43		—28,5	—26,5
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი	96,0	7,8	28	96,2	— 7,4	— 3,9
აგროსამრეწველო კომპლექსი	96,6	33,1	11	99,96	—11,8	— 9,1
საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საკავშირო	93,9	25,1	40	94,6	— 2,6	2,5

[1] მეტალურგიულ კომპლექსში მიღებულია 5926 ათასი მანეთის ზარალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2954 ათასი მანეთის მოგებისა.

ცალკეულ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მიხედვით ასეთია:

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი

	ფაქტობრივად 1990 წლის I კვარტალში	გეგმის შესრულების პროცენტი	1990 წლის I კვარტალი პროცენტობით 1989 წლის I კვარტალთან
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი	3,6	100	99,0
ნავთობი, გაზის კონდენსატის ჩათვლით, ათასი ტონა	46,1	115	101
თანმდევი გაზი, მილიონი კუბური მეტრი	13,4	2,2-ჯერ	126
ქვანახშირი, ათასი ტონა	317	95	117
მათ შორის საკოქსე ქვანახშირი	230	92	111

საათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგებში გადაჭარბებით შესრულდა გაზისა და ნავთობის მოპოვების დავალებები, დამატებით მოპოვებულია 7,4 მილიონი კუბური მეტრი გაზი და 6,1 ათასი ტონა ნავთობი.

საწარმოო გაერთიანება „საქნახშირმა“ კვარტალის საგეგმო დავალების შესრულებას დააკლო 16 ათასი ტონა ქვანახშირი.

კომპლექსის საწარმოებმა საანგარიშო პერიოდში მომხმარებლებს ვერ მიაწოდეს 3,1 მილიონი მანეთის პროდუქცია, სახელშეკრულებო დავალება შესრულებულია 92,1 პროცენტით. ხელშეკრულებების შესრულება ვერ უზრუნველყოფს კომპლექსში შემავალი საწარმოების ან გაერთიანებების 22 პროცენტმა. მიუწოდებელი პროდუქციის ძირითადი მოცულობა მოდის საწარმოო გაერთიანება „საქნახშირზე“ (2,9 მილიონი მანეთი).

მანქანათმშენებლობის კომპლექსი

	ფაქტობრივად 1990 წლის I კვარტალში	გეგმის შესრულების პროცენტი	1990 წლის I კვარტალი პროცენტობით 1989 წლის I კვარტალთან
ცვლადი დენის ელექტროძრავები 0,25-დან 100-მდე კვტ სიმძლავრით, ათასი კვტ	18,5	58	65
მცირე სიმძლავრის ელექტროძრავები ავტომატიზაციის და მექანიზაციისათვის ათასი ცალი	148	59	76
ლითონსაჭრელი ჩარხები, ცალი	283	94	52
მათ შორის რიცხვულ-პროგრამული მართვით	24	120	71
დაბალი ძაბვის ელექტრონული აპარატურა, მილიონი მანეთი	15,9	99	87
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთი	8,1	47	57
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთი	16,7	100,2	112

მანქანათმშენებლობის კომპლექსის საწარმოებში პროდუქციის საერთო მოცულობა გასული წლის I კვარტალთან შედარებით 7 პროცენტით შემცირდა. უზრუნველყოფილია ელექტრომემდუღებელი მოწყობილობის, გამოთვლითი და მმართველი კომპლექსების, ფიზიკის დარგში საკვლევი ხელსაწყოების, ყველა სახის მოტორმოლოკების წარმოების საგეგმო დავალებების შესრულება.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა სატვირთო ავტომობილების, მათი მისაბმელების და ნახევარმისაბმელების, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანა-დანადგარების, ჩასაძირი ელექტროძრავების, სამსხმელო მოწყობილობის წარმოება. ამასთან შემცირდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ძალური ტრანსფორმატორების, კომკურა ამწეების წარმოება.

მთლიანად მანქანათმშენებლობის კომპლექსის საწარმოებმა პირველ კვარტალში მომხმარებლებს ვერ მიაწოდეს 9,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. სახელშეკრულებო ვალდებულებები ვერ შეასრულა საწარმოთა ნახევარზე მეტმა.

მანქანათმშენებლობის კომპლექსში უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქციის ხვედრითმა წილმა მზა ნაწარმის მთლიან მოცულობაში შეადგინა 54,4 პროცენტი, რაც 5,8 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. შემცირდა მსოფლიო ტექნიკური დონის შესაბამისი პროდუქციის მოცულობაც. მისმა ხვედრითმა წილმა უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო დანიშნულების მქონე პროდუქციის მოცულობაში შეადგინა 65,8 პროცენტი, ანუ 5,3 პროცენტული პუნქტით ნაკლები.

გაუარესდა მანქანათმშენებლობის პროდუქციის განახლების მაჩვენებელი და შეადგინა 6,9 პროცენტი, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია 1989 წლის პირველი კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

შემცირდა წარმოების მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და რობოტიზაციის მაჩვენებლები. ხელი ტემპებით ინერგებოდა პროგრესული, მათ შორის რესურსდამზოგველი და უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესები. მანქანათმშენებელ კომპლექსში დაინერგა 2 სამრეწველო რობოტი და ერთი რიცხვულ-პროგრამული მართვის ლითონმჭრელი ჩარხი. ამასთანავე, არ დაინერგა არც ერთი როტორული და როტორულ-კონვეიერული ხაზი, მოქნილი საწარმოო სისტემა, ლაზერული და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარები.

მეტალურგიული კომპლექსი

	ფაქტობრივად 1990 წლის I კვარტალში	გეგმის შესრულების პროცენტი	1990 წლის I კვარტალი პროცენტობით 1989 წლის I კვარტალთან
ფოლადი, ათასი ტონა	354	99,8	99,0
შავი ლითონის ნაგლინი (მზა), ათასი ტონა	298	97	96
ფოლადის მილები, ათასი ტონა	131	100,9	98

მეტალურგიული კომპლექსის საწარმოებმა ვერ შეასრულეს მზა ნაგლინის წარმოების დარგობრივი შეკვეთა (94,9 პროცენტი).

ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ლითონპროდუქციის ისეთ პროგრესულ სახეობებზე, როგორიცაა დაბალლეგირებული ფოლადისა და სამკედლო სორტული ნაგლინი, ნავთობსადენი, ნავთობის სორტამენტის და ზემტკაცი მილები, რიგი სხვა სახეობის ლითონპროდუქტები, რომელთა გამოკენება უზრუნველყოფს ლითონის მნიშვნელოვან ეკონომიას.

კომპლექსში შემავალი საწარმოების მიერ პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულებულია 93,1 პროცენტით, მომხმარებლებს ვერ მიეწოდა 7,4 მილიონი მანეთის პროდუქცია. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება ვერ უზრუნველყო კომპლექსის საწარმოთა 43 პროცენტმა.

ქიმიურ-სატყეო კომპლექსი

	ფაქტობრივად 1990 წლის I კვარტალში	გეგმის შესრულების პროცენტი	1990 წლის I კვარტალი პროცენტობით 1989 წლის I კვარტალთან
მინერალური სასუქები (100 % მკვებავ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	30,9	114	95
ქიმიური ბოჭკო, ათასი ტონა	7,3	77	74
სინთეზური ამიაკი, ტონა	50,1	111	82
სინთეზური ფისები და შუალედური პროდუქტი სინთეზური ბოჭკოსათვის (კაპროლაქტამი), ათასი ტონა	9,6	96	89
თერმოპლასტის მილები და წყალგაყვანილობის დეტალები, ტონა	317	118	108
სამკურნალო საშუალებები, მილიონი მანეთი	15,7	100,1	103
ქაღალდი, ათასი ტონა	6,6	92	93

პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებები ვერ შეასრულა კომპლექსის საწარმოთა 28 პროცენტმა, ამასთან მიუწოდებელი პროდუქციის მოცულობა გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით 2,4-ჯერ გაიზარდა და 7,8 მილიონი მანეთი შეადგინა.

საწარმოო გაერთიანება „აზოტმა“ ვერ შეასრულა კაპროლაქტამის, საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგმა“ — სამკურნალო საშუალებების, ტერიტორიულმა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქტყემრეწვმა“ — შეწებილი ფანერის და მერქან-ბურბუშელოვანი ფილების, საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკომ“ ქიმიური ბოჭკოს წარმოების გეგმები.

ამასთან, კომპლექსის საწარმოებმა შეასრულეს მინერალური სასუქების, ნავთობის პირველადი გადამუშავების, საავტომობილო ბენზინის, დიზელის საწვავის, სათბობი მაზუთის, ნავთობის, ბიტუმის, თერმოპლასტური მილებისა და მილსადენის ნაწილების, სინთეზური ამიაკის, სინთეზური სარეცხი საშუალებების წარმოების საგეგმო დავალებები.

სამშენებლო მასალების მრეწველობა

	ფაქტობრივად 1990 წლის I კვარტალში	გეგმის შესრულების პროცენტი	1990 წლის I კვარტალი პროცენტობით 1989 წლის I კვარტალთან
ცემენტი, ათასი ტონა	334	93	87
აზბესტცემენტის ფურცლები (შიფერი), მილიონი პირობითი ფილა	9,0	100	106
სახურავი ტოლი და იზოლი, მილიონი კვადრატული მეტრი	12,9	56	75
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები, ათასი კუბური მეტრი	564	98	121

სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებმა საგეგმო დავალების შესრულებას დააკლეს 24,5 ათასი ტონა ცემენტი, 11,3 მილიონი კვადრატული მეტრი სახურავი ტოლი და იზოლი, 12,3 მილიონი პირობითი ცალი აგური, რაც კიდევ უფრო ართულებს მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების პრობლემას.

მრეწველობის დინამიკური მუშაობის მნიშვნელოვანი პირობაა სამეურნეო ხელშეკრულებების თავისდროული გაფორმება, როგორც საწარმოო ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, ასევე სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდებაზე. სამრეწველო საწარმოებმა, რომლებიც უპირატესად აწარმოებენ საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციას, 1990 წლის 12 მარტის მდგომარეობით გააფორმეს ხელშეკრულებები მომხმარებლებთან 6580 მილიონი მანეთის პროდუქციის მიწოდებაზე, ანუ გათვალისწინებულის 98,9 პროცენტზე; საწარმოების მიერ, რომლებიც უშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს — 1249 მილიონი მანეთის (95 პროცენტი) არასასურსათო პროდუქციის მიწოდებაზე, მათ შორის 1074 მილიონი მანეთის (96 პროცენტი) პროდუქციაზე, რომელიც უშუალოდ მიეყიდება მოსახლეობას.

აგროსამრეწველო კომპლექსი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში არასტაბილურმა მდგომარეობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობაზე. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში წარმოებულია 674 მილიონი მანეთის კვების პროდუქტები, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის 90 პროცენტს შეადგენს. უმრავლეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შემცირდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება საზო

რეფორმა ჯერჯერობით საქ ცვლაში

(დასასრული)

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა საზოგადოებრივ მეურნეობებში შეიცვალა შემდეგნაირად (ათასი სული):

	1 აპრილისათვის	
	1989 წ.	1990 წ.
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	574,1	548,5
მათ შორის ძროხა	151,9	150,1
ღორი	413,2	378,0
ცხვარი და თხა	1400,3	1331,0
ფრინველი	13403,5	13082,2

პირუტყვის სულადობა შემცირდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის მეურნეობებში, მათგან განსაკუთრებით ამბროლაურის, ვანის, მცხეთის, ცაგერის, ხაშურის, ხონის რაიონების მეურნეობებში.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ადგილი აქვს მეცხოველეობის პროდუქტების შესამჩნევ დანაკარგებს, რაც ძირითადად გამოწვეულია პირუტყვის დიდი რაოდენობით დაცემითა და დედა პირუტყვის მაღალი ბერწიანობით. მაღალია პირუტყვის დაცემა სამხრეთ ოსეთის, წყალტუბოს და ჭიათურის ზონის, აბაშის, ამბროლაურის, ახალქალაქის, დმანისის, ზესტაფონის, თიანეთის, საგარეჯოს და სიღნაღის რაიონების მეურნეობებში.

მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა ყველა კატეგორიის მეურნეობებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	I კვარტალი		
	1989 წ.	1990 წ.	1990 წ. პროცენტობით 1989 წ.
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალ წონაში), ათასი ტონა	37,6	26,3	70
რძე, ათასი ტონა	60,2	46,2	77
კვერცხი, მილიონი ცალი	144,3	121,6	84

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოზე ჩაბარება შეამცირეს აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის 37 რაიონის მეურნეობებმა, მათგან განსაკუთრებით ასპინძის, ახალქალაქის, ახმეტის, გარდაბნის, ვანის, თერჯოლის, თიანეთის, მაიაკოვსკის და სიღნაღის რაიონების მეურნეობებმა.

პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფოზე ჩაბარება შეამცირა რესპუბლიკის 845 მეურნეობამ (მთლიანი რაოდენობის 53 პროცენტი) 11,1 ათასი ტონით, რძის — 756 მეურნეობამ (57 პროცენტი) 17,8 ათასი ტონით და კვერცხის — 42 მეურნეობამ (50 პროცენტი) 23,9 მილიონი ცალით.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დამზადებულია 1357 ტონა სასათბურე და ღია გრუნტის ადრეული ბოსტნეული, რაც 238 ტონით, ანუ 21 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს.

მიმდინარეობს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. რესპუბლიკის 35 რაიონის მეურნეობებში ითესება საგაზაფხულო კულტურები. 16 აპრილისათვის დათესილია 77,7 ათასი ჰექტარი ფართობი გასული წლის 17 აპრილისათვის — 119,3 ათასი), მათ შორის მარცვლოვანი და მარცვლოვან-ცერცვოვანი (სიმინდის გარდა) — 8,2 ათასი ჰექტარი, მზესუმზირა — 10,3 ათასი, კარტოფილი — 5,3 ათასი, ბოსტნეული — 7,3 ათასი, ერთწლიანი ბალახები — 34,8 ათასი ჰექტარი.

შესრულდა რესპუბლიკის სახაგრომრეწვისათვის მარცვლის ასაღები კომბაინების, ღვარეული სამკალების და დასაწვიმებელი მანქანა-დანადგარების მიწოდების სახელშეკრულები დავალებები, ამასთანავე, არ მიეწოდა 28 სატრაქტორო გუთანი, 26 სატრაქტორო სათესი, 210 კულტივატორი, 30 საკვებისა და 10 სიმინდის ასაღები კომბაინი, 24 წნეხ-ამკრეფი, 100 სატრაქტორო სათიბი, 76 ორგანული და მინერალური სასუქების ნიადაგში შემტანი მანქანა, 78 დისკოიანი ფარცხი.

სოფლის მეურნეობას მიეწოდა 32,5 ათასი ტონა მინერალური სასუქი ქიმიური დანამატების ჩათვლით, ანუ 10,6 ათასი ტონით ნაკლები, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაზე, იმ დარგების ჩათვლით, რომლებიც უშვებენ წარმოების სამუალებებს სოფლის მეურნეობისათვის, დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე ათვისებულია 116,2 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებები.

კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე (კოლმეურნეობების გარეშე) ამოქმედდა 168 მილიონი მანეთის **ძირითადი ფონდები,** რაც 3,8 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, მათ შორის სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისა და საწარმოთა სახსრების ხარჯზე შესაბამისად — 161 მილიონი მანეთის და 3 პროცენტით ნაკლები.

მოქმედი საწარმოების ტექნიკურ გადაიარაღებასა და რეკონსტრუქციაზე გამოყენებულია 73 მილიონი მანეთის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები, ანუ 32,7 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ამ მიზნებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების საერთო მოცულობის მესამედს შეადგენს საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთარი სახსრები.

ათვისებულია 367 მილიონი მანეთის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება, ანუ წლიური ლიმიტის 13 პროცენტი, აქედან 239 მილიონი მანეთი, ანუ წლიური ლიმიტის 16 პროცენტი სახელმწიფო ცენტრალიზებული **კაპიტალური დაბანდებებია.** საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყენებულია 128 მილიონი მანეთის საკუთარი სახსრები, ანუ 25,5 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. მათმა ხვედრითმა წილმა სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების მოცულობაში შეადგინა 34,9 პროცენტი (1989 წლის პირველ კვარტალში — 25,1 პროცენტი). ათვისებული კაპიტალური დაბანდებების მოცულობამ საგრძნობლად გადააჭარბა საექსპლუატაციოდ გადაცემული ძირითადი ფონდების მოცულობას, რის შედეგადაც წლის დასაწყისიდან დაუმთავრებელი მშენებლობა გაიზარდა დაახლოებით 180 მილიონი მანეთით.

პირველ კვარტალში სახელმწიფო შეკვეთით გათვალისწინებული 12 ობიექტიდან, არ ამოქმედებულა არც ერთი. მათ შორის 11 ათასი ტონა კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის ერთდროული შენახვის 10 საცავი, აგრეთვე, არამადნეული სამშენებლო მასალების წარმოების კარიერი საჩხერის რაიონის სოფელ ითავაზაში და ავტომატური სატელეფონო სადგური მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ გენერალური და პირდაპირი ხელშეკრულებებით შესრულებული საიჯარო სამუშაოების კვარტალური პროგრამა რეალიზებულია 100,2 პროცენტით. მისი მოცულობა გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით შემცირდა 2,5 პროცენტით. მიმდინარე წელს ექსპლუატაციაში ჩასაბარებელ ობიექტებზე კვარტალის გეგმა შესრულდა 91,3 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩნენ სსრკ სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „კავკასგვირაბმშენის“ სამმართველოს (59,1 პროცენტი), საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის (74,1 პროცენტი), საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის გაერთიანება „საქმრეწსამოქალაქმშენის“ (83,1 პროცენტი), საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ (89,1 პროცენტი) სამშენებლო ორგანიზაციები.

შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში შემცირდა 2,5 პროცენტით, მოგება — 13,2 პროცენტით.

ტრანსპორტი

საერთო სარგებლობის ტრანსპორტით **ტვირთის გაგზავნის** მაჩვენებლები 1990 წლის I კვარტალში ასეთია:

	1990 წლის I კვარტალი ათასი ტონა	პროცენტობით 1989 წლის I კვარტალთან
ტრანსპორტი — სულ	52621	91,4
მათ შორის:		
რკინიგზის	10708	95,0
მილსადენი (ნავთობი და ნავთობპროდუქტები)	44	42,4
საზღვაო	2016	85,0
საავტომობილო	39850	90,9
საჰაერო	3	104,0

ამიერკავკასიის რკინიგზამ ტვირთის გაგზავნის სახელმწიფო შეკვეთა შეასრულა 108,7 პროცენტით (მათ შორის რესპუბლიკის ტერიტორიაზე — 109,6 პროცენტით). ტვირთის გაგზავნის დაკავებული საავტომობილო ტრანსპორტმა 101,4 პროცენტით შეასრულა, საზღვაო ტრანსპორტმა — 100,1 პროცენტით.

რკინიგზის ტრანსპორტმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვერ უზრუნველყო შავი ლითონის, მინერალური სასუქების, ცემენტის და ყველა სახის მადნის გაგზავნის გეგმების შესრულება. გატარებულია 1287 ძმიმე წონის მატარებელი (გასული წლის I კვარტალში — 955), ნორმის ზევით გადაზიდულია 435,7 ათასი ტონა ტვირთი.

თბილისისა და სამტრედიის განყოფილებებში ვაგონების მოცდენების დრო დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციებზე შემცირდა 15,3 პროცენტით, ერთი ვაგონის ბრუნვის დრო კი 20,5 პროცენტით. ამაგე პერიოდში ერთი სატრანზიტო ვაგონის საშუალო მოცდენა ტექნიკურ სადგურში თბილისის განყოფილებაში გეგმიურთან შედარებით გაიზარდა 12 პროცენტით, სამტრედიის განყოფილებაში კი შემცირდა 6,3 პროცენტით.

პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიზეზებით ვაგონების ზენორმატიული მოცდენები, რამაც 359 ათასი საათი შეადგინა.

რკინიგზის ტრანსპორტით გადაზიდვებზე შრომის ნაყოფიერება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 11,9 პროცენტით.

გზატკეცილებსა და ქუჩებში მომხდარი ავტოსატრანსპორტო ავარიებისა და შემთხვევების რიცხვმა შეადგინა 650 ერთეული და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 49,1 პროცენტით. აღნიშნულის გამო დაიღუპა 218 და დაზიანდა 698 კაცი. საგზაო შემთხვევები საგრძნობლად გაიზარდა აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, თბილისში, ქუთაისში, გორის, კასპის, თელავის, ოზურგეთის, ხობის, წყალტუბოს, სენაკის და ზოგიერთ სხვა რაიონში.

საგარეო კავშირურთიერთობები

1990 წლის პირველ კვარტალში საექსპორტო მიწოდებას აწარმოებდა 23 საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროს და უწყების 47 საწარმო და ორგანიზაცია. მთ მიაწოდეს 29,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. საექსპორტო მიწოდების გეგმა შესრულდა 90,1 პროცენტით. რესპუბლიკური საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „საქმეპექსის“ მეშვეობით საზღვარგარეთ გატანილია 360 ათასი მანეთის პროდუქცია (უცნაურ ვალუტაზე), რესპუბლიკაში შემოტანილია 5,6 მილიონი მანეთის პროდუქცია. სახაგრომრეწვის ორგანიზაციების მიერ სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „სამების“ შუამდგომლობით პოლონეთში გატანილია 825 ათასი მანეთის პროდუქცია.

1990 წლის 1 აპრილის მდგომრეობით რესპუბლიკაში შექმნილია 33 ერთობლივი საწარმო, აქედან ფუნქციონირებს 22. მათ აწარმოვეს 18,1 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი.

რესპუბლიკა

6 მაისი, კვირა 1 '90

ჩვენმა მკითხველმა მიიღო კიდევ ერთი ახალი გამოცემა. ესაა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო, ყოველკვირეული გაზეთი „რესპუბლიკა“.

მართალია, მან გვერდი აუარა ტრადიციული საპროგრამო წერილის გამოქვეყნებას და ამჯობინა ფართო საზოგადოებრივობის აზრი წარმოედგინა იმის შესახებ, თუ როგორი სამთავრობო გაზეთი გვჭირდება დღეს, მაგრამ „რესპუბლიკის“ მცირე ფორმატის 16 გვერდზე გამოქვეყნებული მასალები ნათლად გვამცნობენ ახალი შემოქმედებითი კოლექტივის ჩანაფიქრს, მის მიზნებსა და ამოცანებს.

პირველი ნომერი

მართლაც „ნომრის ინტერვიუ“, „დემოგრაფია ციფრებში“, „პრაქტიკული ნაბიჯები“, „პრობლემა ფართო პლანით“, „პოლიტიკური პორტრეტი“, „მემკვიდრეობა, „გულახდილი დიალოგი“, სხვა რუბრიკები და განყოფილებები საინტერესოდ და საქმეში ჩახედულად მოგვითხრობენ იმაზე, რაც აღელვებს ჩვენს საზოგადოებრივობას, რასაც ვერ ვაკეთებთ დღეს და უნდა გავაკეთოთ მომავალში. ვფიქრობთ, მიკერძოებად არ ჩაგვეთვლება ყოველკვირეულის ფურცლებზე იმ ავტორების წარმატებული გამოჩენა, რომლებმაც „კომუნისტიდან“ გადაინაცვლეს „რესპუბლიკაში“...

პირველი ნომერი პირველი ნაბიჯის გადადგმას ნიშნავს. ვუსურვოთ „რესპუბლიკას“ მრავალი ნაბიჯის გადადგმა მკითხველის გრძნობა-გონებისაკენ, მის კოლექტივს კი — ნამდვილი უურნალისტური ნვა და მგზნებარება მშობლიური ხალხისა და რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

„წუთშესვენება“. ჯაბარ ლომაძის ფოტო.

დედაქალაქის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს უფროსის კანონტში, რომ იტყვიან, განკიცხვის დღე იდგა. მაგიდის თავში ისხდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ომარ ვარძელაშვილი და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ირაკლი ანდრიაძე. ოთახის დანარჩენი ყველა კუთხე-კუნჭული ივსება ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა კოოპერაციული ბინათმშენებლობის „ბაგები-502“-ის წევრებს შეეკუმშა. აღელვებული, წონასწორობადაკარგული ხალხი მძიმე ბრალდებებს უყენებდა ქალაქის მთავარ არქიტექტორს შოთა ყაველაშვილს. თუმცა ხალხით სავსე ოთახში სიცხის ბუღი იდგა, ფანჯრებს არავინ აღებდა, ქუჩის ხმაურს ხელი რომ არ შეეშალა.

შემდეგ: „...იმის გამო, რომ ბაგებში თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის... გამოყოფილ ტერიტორიაზე თავისუფალი მიწის ნაკვეთი არ არის, თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებლობას მოკლებულიაო“. თავისუფალი ადგილი კი იყო...

ბოლოს უარის ეს კასკადური ჯებირი მაინც გაირღვა — კოოპერატივისათვის შეირჩა ადგილი, სადაც... სულ ცოტა 10 კერძო საკუთრების სახლი იყო ასაღები. ამაზე, სრულიად ბუნებრივად, უკვე კოოპერატივმა განაცხადა უარი.

ამ გაჭიანურებულ საქმეზე არაერთგზის იმსჯელა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. მის 1987 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებაში (№ 20. 37. 495) ჩაწერილია: „საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიაჩნია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოოპერატიული საცხოვრებელი სახლისათვის ნაკვეთის გამოყოფა და მისი დაპროექტების საკითხის წლების მაშლის სკოლის და საბავშვო ბაღ-ბაღის აშენებასო.

1988 წლის 5 მაისს „სახმშენში“ სპეციალური სხდომა გაიმართა, რომელსაც რესპუბლიკის წამყვანი ხუროთმოძღვრები ესწრებოდნენ. სხდომამ გამოწვლილვით განიხილა წარმოდგენილი პროექტები და ერთხმად მისცა მწვანე გზა კომიტეტის ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას.

მაგრამ საქმე არც იმით დამთავრებულა. მშენებლობის დაწყებას ათასი წვრილმანი წამოედო. თუნდაც ასეთი ფაქტი რად ღირს: მაშინ, როდესაც მისასვლელი გზის გაყვანის პროექტი უკვე შეთანხმებული იყო ქალაქის მთავარ არქიტექტორთან, შოთა ყაველაშვილმა, ყველასთვის მოულოდნელად, ამ გზაზე... სახიანკლის მშენებლობის უფლება მისცა ვინმე ფარეშეზოვს. იგი თავდაპირველი ჩანაფიქრით „ერთსართულიანი მსუბუქი ტიპის ნაგებობა უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი გვარიანი კაპიტალური შენობა წამოიზიმა ღია „გემბანით“, თანაც არა ფარეშეზოვს ეზოში, არამედ მიტაცებულ, შემდეგ კი „შავ ზოლებში“ მოქცეულ ტერიტორიაზე. ბაგების მიკრორაიონში სოკოებივით მომრავლდა უკანონო და უნებართვო მშენებლობანი.

როგორც იქნა, შარშან კოოპერატიული სახლის მშენებლობაც დაიწყო, მაგრამ მისი ფათერაკები როდი დამთავრებულა. ბაგების მცხოვრებთა შორის ფართოდ გავრცელდა აზრი („პირველწყაროების“ ძიება შორს წაგვიყვანს), სახლი იმ ადგილას შენდება, სადაც სკოლის ეგება იყო გათვალისწინებულიო. არადა, ბაგების მიკრორაიონის რეკონსტრუქციის არცერთ პროექტში, იქ სკოლის ან საბავშვო ბაღ-ბაღის ეგება დაგეგმილი არ ყოფილა, რასაც სხვათაშორის, თვით შ. ყაველაშვილიც ადასტურებს ოფიციალურად გაცემული ცნობით.

მაგრამ ნათქვამია, ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო. ჭორი აგორდა, აზვირთდა და ბაგების ცხრაწლიანი სკოლის მოსწავლეთა საპროტესტო დემონსტრაციებში გადაიზარდა. და აი, 1990 წლის 12 აპრილს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში გამართულმა თათბირმა იმის გამო, „რომ ბაგების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კატეგორიულად წინააღმდეგია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კოოპერატიული სახლის მშენებლობისა და ითხოვს იმავე ადგილზე ახალი საშუალო სკოლის შენობის აგებას“, მშენებლობა შეაჩერა და საქალაქო საბჭოს აღმასკომს ახალი ტერიტორიის გამოყოფის წინადადება მისცა.

ამას მოჰყვა ის, რითაც დავიწყეთ — ქალაქის მთავარი არქიტექტორის კაბინეტში გამართული ცხარე შეხლა-შემოხლა. კოოპერატივის წევრებს ვერ ვიამტყუნებ: დახარჯულია 400 ათასამდე მანეთი — გაყვანილია ნახევარკილომეტრიანი გზა, ამოთხრილია სამი საძირკველი, ერთ მათგანში ჩასმულია ხიმინჯები, მეორეში უკვე დამუშავებულია არმატურა. მიტანილია კომკურა ამწე და მბურღავი მექანიზმები... კოოპერატივის წევრებმა შეჩერებული მშენებლობის გაგრძელება, ქალაქის მთავარი არქიტექტორის დაუყოვნებლივ გადადგომა და ბაგების ტერიტორიაზე ინვენტარიზაციის ჩატარება მოითხოვეს.

შ. ყაველაშვილი იძულებული გახდა გადადგომის შესახებ განცხადება დაეწერა. ახლახან საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დაკმაყოფილა მისი „თხოვნა“.

მაგრამ კოოპერატიული სახლის მშენებლობის საქმე კვლავ გაურკვევლობის ბეწვზე ჰკიდია.

ვერ გამოინახა საერთო ენა ბაგელებთან, რის იმედსაც ქალაქის ხელმძღვანელობა გამოთქვამდა. ამიტომ საქალაქო საბჭოს აღმასკომმა კოოპერატივს შესთავაზა 3 ალტერნატიული წინადადება: ყიფშიძის ქუჩა, ისევ ბაგები (ახალ სტუდენტალაქთან) და ვაჟა-ფშაველასა და ქავთარაძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია. მაგრამ ეს წინადადებები ჯერ მხოლოდ „დამუშავების პროცესშია“.

კოოპერატივის წევრთა საერთო კრება დათანხმდა მხოლოდ ყიფშიძის ქუჩის ვარიანტს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობას იმ დონემდე მიიყვანენ, როგორც ამჟამად ბაგებშია, ე. ი. აუნახლაურებენ დახარჯულ თანხას. საკითხი საბოლოოდ ამ დღეებში უნდა გადაწყდეს. გადაწყდება?

ხალხი კი დაიღალა. ათი წლის წინათ კოოპერატივში გაწევრიანებული ახალგაზრდები დღეს უკვე შუახნისანები არიან, შუახნისანები — ხანდაზმულნი, მათი გუშინდელი მოსწავლე შვილები კი — შეღერებული ქალიშვილები და ჭაბუკები... უბინობით, გაურკვევლობით შეწუხებულ ხალხს სიმებივით დაეჭიმა ნერვები. ცხოვრება კი მიდის, მიაქვს ჩვენი ახალგაზრდობა. ბოლოს და ბოლოს, არც ისე ხანგრძლივია წუთისოფელი!..

ალეკო ასლანიშვილი.

რედაქტორის მოადგილე ნოდარ ჯაველიძე.

საქართველოს სსრ ეროვნული მრჩეველობის დაცვის სამინისტრო და თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ლრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ფიზიოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს პათოფიზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თამაზურაზ ბეიერაშვილ ძე ნათაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მოვლენის კვალდაკვალ

არც ისე ხანგრძლივია წუთისოფელი!..

რატომ „გადადგა“ მთავარი არქიტექტორი?

იმდღევანდელი ამბავი ამ კოოპერატივის მძიმე, რვაწლიანი ომის ერთ-ერთი რიგითი ბრძოლა იყო, ომისა, რომელმაც გამოფიტა და ნერვები დაწყვიტა ხალხს...

საქმე კი ასე გახლავთ.

ამ ოცდაორი წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს „შემდგომი განვითარებისათვის გამოუყვეს 248 ჰექტარი ტერიტორია, ფიზიკის ინსტიტუტის, საბურთალოს სასაფლაოზე მიმავალი გზის, სტაბილური იზოტოპების ქარხნის, V კვარტალისა და დაბა წყნეთის ჩრდილო ფერდობს შორის (სოფ. ბაგების ჩათვლით)“. ამ ტერიტორიის ათვისება უმალ დაიწყო. კერძოდ, ბაგების ტერიტორიაზე იგო სტუდქალაქი და უნივერსიტეტის მუშაკთა კოოპერატიული ბინათმშენებლობის 3 ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი, მათ შორის უკანასკნელი 1978 წელს. ორი წლის შემდეგ უნივერსიტეტმა კიდევ ერთი, მეოთხე კორპუსის აგება გადაწყვიტა. და აი, ამ „მასზე გამოყოფილი ტერიტორიაზე“ მისთვის ნაკვეთის გამოყოფას 7 წელიწადი დასჭირდა. დედაქალაქის მთავარმა არქიტექტურულ-დაგეგმარებითმა სამმართველომ, რომ იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მისმა უარმა მეტამორფოზის მთელი სპექტრი განვლო. ჯერ: „კოოპერატიული საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად რეკონსტრუქციის ზონაში მიწის ნაკვეთების გამოყოფა დაშვებული არ არისო“. თითქოს მანამდე სწორედ რეკონსტრუქციის ზონაში არ აიგო სამი კორპუსი, ან საერთოდ სად, თუ არ სწორედ რეკონსტრუქციის ზონაში უნდა აიგოს თანამედროვე მრავალსართულიანი სახლები.

ნძილზე გაჭიანურების ფაქტი იმის შედეგია, რომ მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველო და პირადად ამხ. შ. ყაველაშვილი გულგრილად და არასათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ნაწილის საბინაო პირობების გაუმჯობესების საქმეს, ამ საკითხზე ზემდგომი ორგანოების დავალებისა და მითითების შესრულებას“. შემდეგ კი ნათქვამია, „მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს ხელმძღვანელობის საქმიანობაში არის სხვა სერიოზული ნაკლოვანებებიც, რის გამოც მიზანშეწონილად ჩითვალა მისი პასუხისმგებლობის საკითხის საგანგებოდ განხილვაო“, ხოლო „ბაგები-502“-ის კოოპერატიული სახლის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა და პროექტის შერჩევა საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა იკისრა.

„სახმშენმა“ საკმაოდ სწრაფად დასძრა საქმე მკვდარი წერტილიდან. „თბილქალაქპროექტს“ დაევალა ბაგებში დაუყოვნებლივ შედგომოდა 7-სექციიანი 120-ბინიანი კორპუსის მიბმის პროექტის დამუშავებას ადრე გათვალისწინებული კასკადური ტიპის სახლის ნაცვლად. ფართობის სიმცირის გამო, გადაწყდა სექციების სამ სახლად განაწილება...

მაგრამ ახლა მიკრორაიონის დაგეგმარების პროექტის ავტორმა ბ. მამინეიშვილმა, ალბათ იმით განაწყენებულმა, რომ მისი პროექტი შეცვალეს, თანაც მიკრორაიონის დაგეგმვის ხელახალი დაპროექტება „თბილქალაქპროექტს“ დაევალა, დაწერა საჩივარი, ამ კორპუსის განლაგება ხელს შეუშლის ნორმალურ ინსოლაციას, ეს ეჭვს ბადებს, ეს ეჭვს ბადებს, ეს ეჭვს ბადებ...

ეს ეჭვს ბადებ... ეს ეჭვს ბადებ...